ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 118-119 (19561) ◆ ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ, 23 ᲛᲐᲘᲡᲘ, 1986 ᲬᲔᲚᲘ ◆ ᲤᲐᲡᲘ 4 ᲙᲐᲞ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲝᲑᲐ

ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ Ჯ. Ი. ᲞᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ სოციალურ-ეკონომიური სტრატეგიის განხორციელებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ბრძოლის ნიშნით ცხოვრობენ ამ დღეებში აფხაზეთის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა შრომითი კოლექტივები.

21 მაისს სოხუმში აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის დარბაზში გაიმართა № 185 სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქის მშრომელთა წარმომადგენლების ალაღმრავალი წინასაარჩევნო კრება, რომელიც მიეძღვნა შეხვედრას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილთან.

პრეზიდიუმში დეპუტატობის კანდიდატთან ერთად იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები, საარჩევნო ოლქის მშრომელთა კოლექტივების წარმომადგენლები.

კრება გახსნა ბ. ვ. ადლეიბამ. დეპუტატობის კანდიდატს ნდობით აღჭურვილმა პირმა — სოხუმის საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკის“ ელექტრომემონტაჟემ ლ. შ. ტანიამ ილაპარაკა ჯ. ი. პატიაშვილის ცხოვრებასა და საქმიანობაზე, მოუწოდა გმომრჩევლებს ხმა მისცენ კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატს.

შეხვედრაზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე შ. დ. ინალიფა, სოხუმის აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი რ. გ. სალუქვაძე, გულრიფშის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი რ. ა. კეიანი, 1918 წლიდან სკკპ წევრი მ. ი. მურატოვი, გულრიფშის რაიონის აჯარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის პარტბიუროს მდივანი ლ. ტ. წერედიანი, სოხუმის დ. ე. არაყიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი ჟ. კ. ბუმბერიდი, აფხაზეთის ა. ვ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გ. ი. მიქავა, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ამ მოწოდებას. ორატორებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ XXVII ყრილობის მიერ ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში დასახული პარტიის სტრატეგიული კურსი, განაცხადეს, რომ მათს შრომითს კოლექტივებს გადაწყვეტილი აქვთ ყოველი ღონე იხმარონ, რათა პირნათლად შეასრულონ აღმშენებლობის დიადი გეგმები.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა ჯ. ი. პატიაშვილი. მან გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს ნდობისათვის და აღუთქვა, რომ ძალ-ღონესა და ენერგიას არ დაიშურებს, ყოველ ღონეს იხმარს, რათა ღირსეულად წარმომადგენლობდეს მათ ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში.

* * *

აფხაზეთში ყოფნის დროს ჯ. ი. პატიაშვილი ეწვია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, გაეცნო მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა მიმდინარეობას, შეხვდა და ესაუბრა მუშებს, სოფლის მშრომელებს, გამოიკითხა მათი ცხოვრებისა და შრომის პირობები. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲒᲐᲜ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ვ. ი. ლენინის დაბადების 116 წლისთავისადმი მიძღვნილი კომუნისტური შაბათობის შედეგები. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც ფართოდ გამოეხმაურნენ მოსკოვის მოწინავე შრომითი კოლექტივების პატრიოტულ თაოსნობას, 1986 წლის 19 აპრილს დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მოაწყვეს კომუნისტური შაბათობა.

შაბათობის ორგანიზებულ მოწყობას ხელი შეუწყო რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების დიდმა ორგანიზატორულმა და პოლიტიკურმა მუშაობამ.

შაბათობის მომზადების მიმდინარეობა და მოწყობა ფართოდ იყო გაშუქებული რესპუბლიკურ და ადგილობრივ პრესაში, რადიოთი და ტელევიზიით.

კომუნისტურ შაბათობაში მონაწილეობდა 2850 ათასი კაცი. თავიანთ სამუშაო ადგილებზე შრომობდა 2160 ათასი კაცი. შაბათობის დღეს გამოშვებულია 23121 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, შესრულებულია 5,2 მილიონ მანეთისაზე მეტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, გადაზიდულია 800 ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, შეგროვილია 6 ათას ტონაზე მეტი ლითონის ჯართი, დარგულია 410 ათასი ხე. ამ დღეს ოთხი თვის დავალებათა შესრულება დაამავარა 165 ათასმა მშრომელმა; 4330 კოლექტივმა, საამქრომ და ბრიგადამ. შაბათობის დღეს დარიცხული ხელფასიდან მიღებულია მოგება 3683 ათასი მანეთის ოდენობით. ეს სახსრები მოხმარდება სოფლებში ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობას.

ამავე დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ცალკეულ საწარმოებში შაბათობის დღეს მისი მონაწილეები არ უზრუნველყვეს სამუშაოთა საჭირო ფრონტით, არ შეუქმნეს პირობები დიდნაყოფიერი შრომისათვის.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების ხელმძღვანელებს რეკომენდაცია მიეცათ გააანალიზონ კომუნისტური შაბათობის შედეგები, შეინარჩუნონ იმ დღეს გამოჩენილი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა და ამის საფუძველზე უზრუნველყონ მიმდინარე წლის დავალებათა უთუო შესრულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახბანკის რესპუბლიკურ კანტორას, საქართველოს სსრ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს დაევალა ... [illegible] ... ობიექტები, ... [illegible] ... შეავსებული სახსრებით და მკაცრი კონტროლი დაუწესონ მათს დროულ გადაცემას საექსპლოატაციოდ.

ცნობად იქნა მიღებული, რომ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო უახლოეს დღეებში განიხილავს 1985 წელს საკავშირო კომუნისტური შაბათობების მოწყობის შედეგად მიღებული სახსრების გამოყენებითი ობიექტების მშენებლობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების საკითხს და განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, რათა მომავალში არ დაუშვას ამ სახსრების არასრული და დაგვიანებით ათვისება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, ყველა მშრომელს, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ვ. ი. ლენინის დაბადების 116 წლისთავისადმი მიძღვნილ კომუნისტურ შაბათობაში და გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ისინი მთელ ძალ-ღონესა და ენერგიას მოახმარენ მიმდინარე წლის და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებას, სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ: მხატვრების დ. ახვლედიანის და ი. ვასილკოვსკის პლაკატი, რომელიც ეძღვნება საბჭოთა საქართველოს დღეებს მოსკოვში; პრესკონფერენცია.

ა. რუხაძის ფოტო. (საკედან-საქინფორმის ტელეფოტო).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲔᲨᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 21 მაისი. (საქინფორმის სპეც. კორ. ი. გოლდმანი). ისტორიულად მოკლე ვადაში, ერთი თაობის თვალწინ საქართველოს რესპუბლიკამ მრავალეროვანი საბჭოეთის მომე ხალხების უდმივი მეგობრული ურთიერთდახმარებით გიგანტური ნახტომი მოახდინა პროგრესისაკენ მიმავალ გზაზე ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში: გადაიქცა განვითარებული ეკონომიკის, მეცნიერებისა და ღრმად თავისთავადი ეროვნული კულტურის მქონე ნამდვილად სუვერენულ სოციალისტურ სახელმწიფოდ.

ეს ითქვა პრესკონფერენციაზე საბჭოთა და საზღვარგარეთელი ჟურნალისტებისათვის, რომელიც მიეძღვნა საქართველოს სს რესპუბლიკის დღეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 65 წლისთავთან დაკავშირებით. პრესკონფერენცია გაიმართა მოსკოვში, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში.

პრესკონფერენცია გახსნა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგემ ვ. ლომეიკომ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საქართველოს ძმური ურთიერთობა აკავშირებს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან. ეს ძმობა იშვა რევოლუციის ბრძოლებში, ფაშისტური დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში, აღმშენებლობითს შრომაში.

საქართველოს სსრ სახგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის მინისტრმა რ. კონცელიძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მუდმივმა წარმომადგენელმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში ნ. მელქმარიაშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ი. ფრანგიშვილმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი კურორტების სამმართველოს უფროსმა ზ. ღუღუნიშვილმა, საქართველოს დელეგაციის სხვა წევრებმა უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებზე.

უაღრესად სიმბოლურია, აღინიშნა კონფერენციაზე, რომ საბჭოთა საქართველომ თავისი სახელოვანი 65 წლისთავი აღნიშნა სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღეს. მართლაც რომ უდიდესი ზემოქმედება მოახდინა ყრილობის გადაწყვეტილებებმა ჩვენი ადამიანების ცხოვრებისა და შრომის ყველა სფეროზე. თავისი გამოდგილი ავანგარდის — საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით რესპუბლიკა აჩქარებს ნაბიჯს. ეკონომიკაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ძირეული გარდატეხა ხდება. ფაბრიკა-ქარხნებში, მინდვრებსა და პლანტაციებში, მშენებლობებზე, სამეცნიერო და შემოქმედებითს ლაბორატორიებში მატულობს შრომითი რიტმი, ეძებენ წარმოების „ინტელექტუალიზაციის“, ყველა დარგის ტექნოტევადობისა და მეცნიერებატევადობის გაზრდის გზებს, წარმოებს გაბედული სამართველო ძიება და დიდი მასშტაბის ეკონომიკური ექსპერიმენტები. ძლიერდება ბრძოლა ორგანიზებულობისა და დისციპლინის, დიდი მომთხოვნელობის ატმოსფეროს დამკვიდრებისათვის, ადამიანის ფაქტორის გააქტიურებისათვის საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი გაღრმავებისა და ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაფართოების პირობებში.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთდახმარების სახელოვანი ტრადიციების განვითარება-განმტკიცება, შთაგონებული შრომა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საბჭოთა საქართველოს შემდგომი აყვავების საწინდარია.

დასასრულ გაიმართა საქართველოს ხელოვნების ოსტატთა კონცერტი. საბჭოთა და საზღვარგარეთელი ჟურნალისტები გაეცნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრის ფოიეში მოწყობილ საქართველოსადმი მიძღვნილ ფოტოგამოფენას, ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების

ᲤᲘᲠᲝᲡᲛᲐᲜᲘ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲗ ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐᲨᲘ

ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡ დედაქალაქში გაიხსნა ნიკო ფიროსმანაშვილის ნაწარმოებების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია უბადლო ოსტატის 50 ფერწერული ტილო საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ფონდებიდან. საინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა მუზეუმის დირექტორს თ. სანიდიტორიამ, ფართოდ გამოეხმაურნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

სახვითი ხელოვნების მოყვარულებმა იაპონიაში უკვე ორჯერ ნახეს ფიროსმანის ცალკეული ტილოები ამ ქვეყანაში გამართულ კოლექტიურ ექსპოზიციებზე. ახლადელი გამოფენა კი სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, საქართველოს კულტურის სამინისტროს და იაპონიის ფირმა სეიბუს შორის დადებული სპეციალური შეთანხმების შედეგია. იგი მაყურებელს შესაძლებლობას აძლევს უფრო საფუძვლიანად გაეცნოს ჩვენი თანამემამულის შემოქმედებას. გამოფენას წინ უსწრებდა ჩვენი მუზეუმის სარესტავრაციო განყოფილების თანამშრომელთა რამდენიმე თვის გულმოდგინე მუშაობა განყოფილების გამგის დ. ახობაძის ხელმძღვანელობით. ამ კიბეზე, რომელიც ამ დღეებში იაპონიიდან დაბრუნდა, გაეცნო, თუ როგორ მიიღეს გამოფენა ამომავალი მზის ქვეყანაში.

— ფიროსმანის სურათების ექსპოზიცია ტოკიოს სეიბუს მუზეუმში 17 მაისს გაიხსნა. ეს ქვეყანაში ერთ-ერთი პოპულარული მუზეუმია, რომელიც ფართო პროპაგანდას უწევს საზღვარგარეთის ხელოვნების მიღწევებს. თვითნასწავლი ნიჭიერი მხატვრის ნაწარმოებები გულთბილად მიიღეს სპეციალისტებმა, მაყურებელთა აუდიტორიამ, ფართოდ გამოეხმაურნენ საზღვარგარეთ ფიროსმანის გამოფენების მოწყობაში, და შემიძლია ვთქვა, რომ არასოდეს არ ყოფილა ისე კარგად ორგანიზებული, როგორც ტოკიოში.

ამომავალი მზის ქვეყანაში ძალზე ცუდად იცნობენ საქართველოს, ჩვენს ხალხს, ტრადიციებსა და კულტურას, და ამიტომ მის მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ. ფიროსმანის ნაწარმოებების გამოფენა შესანიშნავი საბაბი იყო იმისათვის, რომ მათთვის ჩვენი სამშობლო გაგვეცნო. მხატვრის ნაწარმოებებთან ერთად გამოფენა მოიცავდა ფოტოსურათებს, რომლებიც დამთვალიერებლებს აცნობდნენ საქართველოს, მის ისტორიას, ბუნებას, კულტურას და გარკვეულად იმ ვითარებასაც, რომელშიც იფურჩქნებოდა მხატვრის ნიჭი. მუზეუმის სპეციალურ დარბაზში უჩვენებდნენ დოკუმენტურ ფილმებს ჩვენი რესპუბლიკის შესახებ და გიორგი შენგელაიას კინოფილმ „ფიროსმანს“. მთხოვეს ლექციები წამეკითხა ფართო აუდიტორიის წინაშე საქართველოს ხელოვნების ისტორიის, ფიროსმანის შემოქმედების შესახებ.

ტოკიოში გამოფენა 30 ივნისამდე გასტანს, შემდეგ კი ერთი თვის განმავლობაში მას გაეცნობიან იაპონიის მეორე დიდი ქალაქის ოსაკის მცხოვრენი. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

21 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი მანქანათმშენებლობის დარგების შემდგომი განვითარების, პროდუქციის ტექნიკური დონის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხზე.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ და გამოვიდნენ ამხანაგები ნ. ი. რიჟკოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ნ. ვ. ტალიზინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. კ. ანტონოვი, ი. ს. სილაევი, ი. დ. მასლიუკოვი, გ. ი. მარჩუკი, სსრ კავშირის მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა.

თათბირზე აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის შემდეგ ქვეყანაში გაიშალა აქტიური მუშაობა მანქანათმშენებლობის განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის საერთო-სახელმწიფო პროგრამის რეალიზაციისათვის.

მანქანათსაშენებელი დარგები სტაბილური მუშაობის რეჟიმზე გადაიდნენ. ამასთან ყველაზე დიდ წარმატებას აღწევენ იქ, სადაც შეიცვალა დამოკიდებულება საქმისადმი, სადაც შრომითი კოლექტივები აქტიურად ჩაებნენ ახლის ძიებაში, ინიციატივიანად და პასუხისმგებლობით წყვეტენ მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის კონსტრუირების, წარმოებისა და ათვისების ამოცანებს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მაღალხარისხოვანი მასალებითა და ნაწარმით მანქანათსაშენებელი დარგების უზრუნველყოფას, საკუთარი ჩარხმშენებლობის სწრაფ ზრდას, აგრეთვე ხელსაწყოთმშენებლობის ელექტროტექნიკისა და ელექტრონიკის პრიორიტეტულ განვითარებას. თითოეულ ინსტიტუტში, თითოეულ საკონსტრუქტორო ბიუროში უნდა იყოს ტექნოლოგიური დონის ობიექტური შეფასების სისტემა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დინამიკის გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საბჭოური გამოგონებების დაჩქარებულ დანერგვას, გაუჯობესდეს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის მთელი სისტემა.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ მანქანათსაშენებელი სამინისტროების, გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელობამ, მეცნიერებმა და სპეციალისტებმა მოკლე ვადებში უნდა გადაწყვიტონ პრინციპულად მნიშვნელოვანი ამოცანა — საბჭოური მანქანათმშენებლობა გაიყვანონ მოწინავე პოზიციებზე მსოფლიოში. (ᲡᲐᲙᲑᲘᲜᲘ).

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲙᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ მორიგების შესაბამისად, 1986 წლის ივნისის პირველ ნახევარში ბუდაპეშტში გაიმართება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგი თათბირი.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐᲛᲘ

23 ᲛᲐᲘᲡᲘ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვენერალური მდივნის მოადგილეები — უშიშროების საბჭოს განიარაღების საკითხთა დეპარტამენტის მეთაური იან მარტენსონი და პოლიტიკურ საკითხთა და საქმეთა დეპარტამენტის მეთაური ვ. ა. უსტინოვი. ისინი მონაწილეობენ თბილისში მიმდინარე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეგიონალურ კონფერენციაში განიარაღებისათვის მსოფლიო კამპანიის ფარგლებში.

პ. გ. გილაშვილი გულთბილად მიესალმა სტუმრებს და უსურვა წარმატებანი კეთილშობილურ საქმიანობაში. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი დიდად აფასებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეცადინეობას ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის, საყოველთაო განიარაღებისათვის, პლანეტაზე მტკიცე მშვიდობის მიღწევისათვის. ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახლანდელ კონფერენციას, რომლის მიზანია ფართო მსოფლიო საზოგადოებრიობის ინფორმირება გამალებული შეიარაღების დამღუპველი შედეგების შესახებ, ხალხთა შორის უკეთესი ურთიერთგაგების მიღწევა.

იან მარტენსონმა და ვ. ა. უსტინოვმა ილაპარაკეს კონფერენციის მუშაობის მიმდინარეობაზე, თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, რომლებსაც აქ იხილავენ. აღინიშნა, რომ შექმნილი დაძაბული საერთაშორისო ვითარება იწვევს მსოფლიო საზოგადოებრიობის სერიოზულ შეშფოთებას. დღევანდელ მსოფლიოში ყოველ წუთში ომების, შიმშილისა და გაჭირვებისაგან იღუპება ათასობით ბავშვი. ამასთან იმავე ერთ წუთში მილიონობით დოლარი ხმარდება შეიარაღებას. ეს სახსრები, რა თქმა უნდა, უნდა მოხმარდეს კაცობრიობის ჰუმანური, საჭირბოროტო პრობლემების გადაჭრას.

სტუმრებმა აღნიშნეს, რომ საქართველოში კონფერენციის მონაწილეებს გულითადი და გულღია მასპინძლობა გაუწიეს, რომ ისინი ნიადაგ გრძნობენ რესპუბლიკის საზოგადოებრიობის დახმარებასა და მხარდაჭერას. მათ მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის დიდ მუშაობას კონფერენციის მომზადებისა და მოწყობისათვის.

(ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ზღვასთან აი უკვე ექვსი წელია გაიხსნა და მოქმედებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს რესპუბლიკური პანსიონატი, მასში ისვენებენ და ცხოვრობენ საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის პენსიონერები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: პანსიონატის დამსვენებელი — საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი, პენსიონერი ლია სვანიძე პანსიონატის ბაღში ეტიუდებზე მუშაობისას.

ს. კილაძის ფოტო.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲡᲗᲮᲝᲕᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲔᲜᲡᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲣᲚ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲔᲪᲜᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲘᲡ ᲩᲐᲜᲐᲠᲗᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲘᲐᲙᲣᲢᲘᲘᲡ პ. ᲝᲘᲣᲜᲬᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ გასტროლებსა და ახალგაზრდულ სპექტაკლთა მეორე საკავშირო ფესტივალზე დიდი წარმატებებისათვის **იაკუტიის პ. ოიუნსკის სახელობის დრამატიული თეატრი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ᲚᲐᲨᲕᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1986 წლის 22 მაისი.

ᲡᲔᲢᲧᲕᲐ ᲥᲐᲠᲗᲚ-ᲙᲐᲮᲔᲗᲨᲘ

ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲗ

21 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ, 16 საათსა და 11 წუთზე ცივგომბორის მთებიდან უეცრად წამობურვილმა შავმა ღრუბლებმა ერთბაშად ჩამოანბერა გარემო. ამას მოჰყვა ძლიერი ქარიშხალი. სტიქიური უბედურება განსაკუთრებულ საშიშროებას უქმნიდა თელავისა და ახმეტის რაიონებს. სულ რამდენიმე წუთში მარტო თელავის რაიონში ძლიერმა ქარიშხალმა და სეტყვამ დაზიანა 4.708 ჰექტარი ვენახი, აქედან ასი პროცენტით — 1.068 ჰექტარი. დანარჩენი ფართობი დასეტყვილია ნახევარზე მეტად. ძლიერ დაზიანდა 179 ჰექტარი ხეხილის ბაღი, აქედან 86 ჰექტარი — 100 პროცენტით. საშემოდგომო თავთავიანი კულტურების 700 ჰექტარი დაზიანებული ფართობიდან ძლიერ დასეტყვილია 194 ჰექტარი. ასევე ძლიერ დაისეტყვა 259 ჰექტარი ბოსტნეული, 65 სიმინდის, 44 ჰექტარი ლობიოს, 15 ჰექტარი სოიის ნათესები, 86 ჰექტარი ეთერზეთოვანი კულტურები, 186 ჰექტარი ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახები. განსაკუთრებით ძლიერად დაისეტყვა და დიდი ზარალი განიცადეს გულგულის მეთესლეობის, ყარაჯლის ეთერზეთოვანი, კისისხევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებმა, რუისპირის, ვარდისუბნისა და იყალთოს კოლმეურნეობებმა.

ახმეტის რაიონში ოქთოს, პანკისის, ზემო ხოდაშნის, ქისტაურის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში დასეტყვილია 1200 ჰექტარი ფართობი, აქედან ვენახია 800 ჰექტარი, ხილბაღი 400 ჰექტარი 100 პროცენტით არის დაზიანებული. მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა სეტყვამ სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებსაც.

პარტიის თელავისა და ახმეტის რაიკომებთან შეიქმნა და მუშაობენ სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო კომისიები, პარტიის თელავის რაიკომთან შექმნილ სტიქიური მოვლენების ს

საქართველოს სსრ სახალხო
კონტროლის კომიტეტში

დარღვევებისათვის პასუხი აგებინეს

სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა იმსჯელა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო დარგის ზოგიერთ საწარმოში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების შეცირებისათვის მუშაობის მდგომარეობის, სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „ამიერკავკასტრანსმშენის“ ტრესტში სოფლად დისციპლინის უხეში დარღვევებისა და სხვა საკითხებზე.

რესპუბლიკურ ფაერთიანება „საქმკერავმრეწვსა“ და მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში სერიოზული ნაკლოვანებებია სახელმწიფო საგეგმო დავალებათა შესრულებაში, უხეშად ირღვევა პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო დისციპლინა, არ ხორციელდება ღონისძიებანი ნაწარმის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მარტო შარშან გაერთიანებამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმას 18,7 მილიონი, ხოლო რეალიზაციის გეგმას — 32,7 მილიონი მანეთი დააკლო; მომხმარებლებს არ მიაწოდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული 31,4 მილიონი მანეთის ნაწარმი, რისთვისაც ჯარიმად 2,5 მილიონი მანეთი გადაიხადეს. რეალიზაციის გეგმა არც წელს პირველ კვარტალში შეესრულებიათ.

ბევრ ფაბრიკაში უხეშად ირღვევა ტექნოლოგიური დისციპლინა. მოძხმარებლებს აწვდიან დეფექტებიან და ხელოვნურად ამაღლებული ხარისხის საქონელს, რის გამოც მაკონტროლებელმა ორგანოებმა დაიწერნეს შემოწმებული ყოველი მესამე სამკერვალო ნაწარმი.

განსაკუთრებით სერიოზული ნაკლოვანებანი და დარღვევები გამოვლინდა ქუთაისის საწარმოო სამკერვალო გაერთიანება „გელათში“ და ბოლნისის სამკერვალო ფაბრიკაში.

გაერთიანება „გელათმა“ გასულ ორ წელიწადში არ დაამზადა გეგმით გათვალისწინებული ძირითადი ნაწარმი — მილიონ ასი ათასზე მეტი შმაკაცის პერანგი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაწარმის მიუწოდებლობისთვის გაერთიანებამ ჯარიმად 1,5 მილიონი მანეთი გადაიხადა, ამასთან სავაჭრო ორგანიზაციებმა უკან დააბრუნეს 700 ათასზე მეტი სტანდარტების დარღვევით შეკერილი ნაწარმი.

ჩაშლილია საგეგმო დავალებათა შესრულება ბოლნისის სამკერვალო ფაბრიკაში. ბოლო ორი წლის მანძილზე ფაბრიკას არ გამოუშვია 605 ათასი მანეთის გაუმჯობესებული ასორტიმენტის პროდუქცია, რაც საგეგმო დავალების 44 პროცენტია. ფაბრიკაში ამის შევსებას ცდილობენ იმ პროდუქციის გამოშვებით, რომელზეც არ არის მოთხოვნილება. იმ დროს, როდესაც ცალკეულ სავაჭრო ორგანიზაციებს არ მიაწოდეს 240 ათასი მანეთის საქონელი, სხვა ორგანიზაციებში ყოველგვარი ფონდისა და მოთხოვნის გარეშე დაიგზავნა 800 ათასი მანეთის სამკერვალო ნაწარმი. ფაბრიკის ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო ვერავითარი ძვრები პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. წუნდებული და სტანდარტების შეუსაბამო ნაწარმის გამოშვების გამო ფაბრიკა ყოველ წელს იხდის ჯარიმებს. ერთი წლის მანძილზე აქ დაგროვდა 810 ათასი მანეთის ძალად სარეალიზაციო პროდუქცია.

ტექნოლოგიური დისციპლინის უხეში დარღვევები გამოვლინდა სიღნაღისა და ფოთის სამკერვალო ფაბრიკებში, აგრეთვე თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვარში“.

კომიტეტის დადგენილებით ბოლნისის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი ჯ. ლანჩავა გადაყენებულია თანამდებობიდან.

ცნობად არის მიღებული, რომ ქუთაისის საწარმოო სამკერვალო გაერთიანების „გელათის“ დირექტორი მ. მაჩიტაძე დასაჯა პარტიის ქ. ქუთაისის ლენინის რაიკომმა და მისი თანამდებობაზე დატოვების მიზანშეწონილობის საკითხი დაყენებულია საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელობის წინაშე.

ფოთისა და სიღნაღის სამკერვალო ფაბრიკების, თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ნადიკვრის“ მთავარი ინჟინერების პასუხისმგებლობის საკითხს განიხილავენ შესაბამისი სახალხო კონტროლის კომიტეტები.

• • •

თბილისის რკინიგზის ვაგზლის მშენებლობისათვის „ამიერკავკასტრანსმშენის“ ტრესტს 1983-1985 წლებში გამოეყო 13736 კვადრატული მეტრი მკაცრად ფონდირებული მარმარილოს ფილები „კოელგა“.

არსებული წესების დარღვევით და რეკომენდაციის სათანადო ნებართვის გარეშე, ტრესტის ცალკეული ხელმძღვანელების განკარგულებით 1460 კვადრატულ მეტრზე მეტი ფილები გადაეცა გარეშე ორგანიზაციებს; შემდეგკი ტრესტის ხელმძღვანელობამ, მოიმიზეზა რა მოსაპირკეთებელ მასალებში წარმოქმნილი გარღვევის შევსების აუცილებლობა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში დასვა მარმარილოს ფილების დამატებითი რაოდენობის გამოყოფის საკითხი.

ყოველივე ამით ტრესტის ხელმძღვანელებმა ჩაშლის საფრთხე შეუქმნეს წლეულს თბილისის რკინიგზის ვაგზლის საექსპლოატაციოდ გაშვებას, ამასთან სახელმწიფოს არსებითი მატერიალური ზარალი მიაყენეს.

კომიტეტის დადგენილებით „ამიერკავკასტრანსმშენის“ ტრესტის მთავარი ინჟინერს ჯ. გოცირიძესა და ტრესტის მმართველის მოადგილეს თ. შაბურიშვილს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური, მათვე დაეკისრათ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის ორ-ორი თვის ხელფასის გადახდა.

საყვედური გამოეცხადათ და თითო თვის ხელფასის გადახდა დაეკისრათ ტრესტის საწარმოო განყოფილების უფროსს ნ. კიტავასა და №131 სამშენებლო სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს თ. მახარაშვილს.

ტრესტის მმართველის ა. საგანელიძის პასუხისმგებლობის საკითხზე იმსჯელებს თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტი.

კომიტეტის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისისა და სამტრედიის განყოფილებებში სახალხო-სამეურნეო ტვირთის დაცვის, მეურნეობრობის ახალ პირობებში სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს ზოგიერთი საწარმოს მუშაობის, თბილისისა და რუსთავის „ხილეოსტანვაჭრობის“ სისტემის მაღაზიებში ვაჭრობის მდგომარეობისა და სხვა საკითხები.

მოცდენილი დროის ფასი

რკინიგზა გამართულად უნდა მუშაობდეს

შარშან, ივლისში სახალხო კონტროლის რესპუბლიკურმა კომიტეტმა იმსჯელა იმაზე, თუ როგორ სრულდებოდა შავი და კასპიის ზღვების აუზების გაჭუჭყიანების თავიდან აცილების თაობაზე პარტიისა და მთავრობის დადგენილება და ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი საწმენდი და საკანალიზაციო ნაგებობის მშენებლობის მიმდინარეობისა და ექსპლოატაციის მდგომარეობის შემოწმების შედეგებზე.

მდგომარეობა არასახარბიელო იყო.

გამოხდა ხანი, და კომიტეტი კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს, შეამოწმა, თუ როგორ სრულდება მიღებული დადგენილება. აღმოჩნდა, რომ სამინისტროებსა და უწყებებს, ცალკეულ საწარმოთა ხელმძღვანელებს გარკვეული მუშაობა გაუწევიათ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

დაპირება შეასრულა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს 24-ე ტრესტის მთავარმა ინჟინერმა ე. შავგულიძემ, აბმეტისა და ბაისუბნის ღვინის ქარხნების საწმენდ ნაგებობებზე აღმოიფხვრა სამშენებლო დეფექტები. სახალხო კონტროლის რესპუბლიკური კომიტეტის დადგენილებით ე. შავგულიძეს მოეხსნა შარშან გამოცხადებული საყვედური.

რადგან მიღებული ზომების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საწმენდ ნაგებობათა ეფექტიანობა, კომიტეტმა საყვედური მოუხსნა ქობულეთის ავტოსაწარმოს დირექტორს დ. გრძელიძესაც. უნდა ითქვას, რომ ამ საწარმოში გათვალისწინებულია ახალი საწმენდი ნაგებობის მშენებლობა წყალმომარაგების ბრუნვითი სისტემით.

აღარ აბინძურებს მდინარე კინტრიშს ქობულეთის ბამბის საქსოვი ფაბრიკა, დიდი სამუშაოები შესრულდა გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის საწმენდ ნაგებობებზე. თუმცა ზოგი რამ აქ მაინც მოსაგვარებელია.

მაგრამ ყველამ როდი შეასრულა დაპირება, კომიტეტის დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი.

შარშან დამკვეთის არადამაკმაყოფილებელი მოქმედებით ვერ უზრუნველყვეს ბორჯომში კანალიზაციის მშენებლობა დაფინანსებითა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, ამის გამო გორის სარაიონთაშორისო კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსს ლ. ინაურს მიეცა შენიშვნა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამან საქმეს ვერ უშველა. დაფინანსება მაინც არ მოგვარდა, რის გამოც ამ ობიექტზე შეჩერდა სამუშაოები და წლიური გეგმა მხოლოდ 14 პროცენტით შესრულდა.

სიტყვა გატეხეს მშენებლობის სამინისტროს „სპეცმშენის“ ტრესტის ხელმძღვანელებმაც. მათ არ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება და მთლიანად არ აღმოფხვრეს სამშენებლო დეფექტები თერჯოლის ღვინის კომბინატის საწმენდ ნაგებობებზე. ამავე დროს არა მარტო არ გამოასწორეს ქობულეთის კანალიზაციის მშენებლობაზე საგეგმო დავალებათა შესრულებაში არსებული გარღვევა. არამედ ჩაშალეს კიდეც საკანალიზაციო კოლექტორის ამოქმედების ვადები. სწორედ ამიტომ ლ. ინაურს და „სპეცმშენის“ ტრესტის მთავარ ინჟინერს ა. თათარიშვილს გამოეცხადათ საყვედური.

კომიტეტი კვლავაც დაუბრუნდა აღნიშნულ ობიექტებზე საქმის მდგომარეობის შესწავლას, ამიტომაც უნდა ახსოვდეთ მათს მესვეურებს: თუ დაჰპირდი, უნდა შეასრულო კიდეც!

ტრანსპორტზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა იმდენად მოცულობის მაჩვენებლებს, რამდენადაც სახალხო მეურნეობის შეუფერხებელ, მაღალხარისხოვან მომსახურების, რომელიც ჯერჯერობით მთლიანად არ არის უზრუნველყოფილი — საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის სიპატიო ტრიბუნიდან ნათქვამი ეს სიტყვები თავიანთ ყოველდღიურ სახელმძღვანელოდ უნდა გაიხადონ ქუთაისელმა რკინიგზელებმაც და იმ საწარმო-ორგანიზაციების ხელმძღვანელებმაც, რომლებიც ფოლადის მაგისტრალების მომსახურებით სარგებლობს.

რკინიგზისა და საწარმო-დაწესებულებათა თანამშრომლობის კარგი გამოცდილება დააგროვეს ლვოვის ოლქში, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიწონა და საყოველთაო მხარდაჭერის საგნად მიიჩნია.

ამ მიმართულებით მუშაობა თითქოს და „ქუთაის-2“ სადგურშიც დაიწყეს, მაგრამ სადღეისოდ ბევრი არაფერი გაკეთებულა. ინჟინერი ჯ. ბურკაძე, რომელსაც არაოფიციალურად ამ საქმის ორგანიზაცია აქვს მინდობილი, მისთვის ვერ იცლის, ხოლო იმ შვიდ ორგანიზაციაში, რომლებიც გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით თითქოსდა ლვოველთა მეთოდით მუშაობენ, საქმის არსს სრულყოფილადაც კი არ იცნობენ.

საავტომობილო ქარხანაში, „სოფლტექნიკის“ ბაზაში, საწარმო-აგრარულ გაერთიანებაში მხოლოდ სტანდარტების დამტკიცებითა და ტექნიკური საბჭოების შექმნით დაკმაყოფილდნენ, ხოლო ავეჯისა და ხის დამამუშავებელ კომბინატებში, ლითონთი მომარაგებისა და ხე-ტყის საავჭრო ბაზებში ეს სამუშაოები საერთოდ არ შეესრულებათ.

აქ სათანადო კონტროლი არ არის დაწესებული ყოველდღიური საქმიანობისადმი, დროულად არ განიხილავენ მუშაობის შედეგებს, არ იყენებენ ზემოქმედებისა და წახალისების აუცილებელ ღონისძიებებს, საბოლოო ანგარიშით კი ცდება ვაგონები, იგვიანებს სახალხო მეურნეობისათვის ტვირთის მიწოდება, იზრდება ჯარიმები.

საავტომობილო ქარხანამ შარშანდელი იანვრიდან 20900 მანეთი გადაიხადა ჯარიმის სახით, დაჯარიმდნენ „საქსოფლტექნიკის“ ბაზაც, ავეჯის კომბინატიც და საწარმოო-აგრარული გაერთიანებაც.

მართალია, წინა წელთან შედარებით მდგომარეობა ერთგვარად გაუმჯობესდა, მაგრამ ქალაქის 71 ორგანიზაციამ, საიდანაც 64-ს „ქუთაისი-2“ სადგური ემსახურება, ვერ უზრუნველყო სატვირთო ოპერაციები თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. ამან გამოიწვია შარშან 4659 ვაგონის 25 ათასი ვაგონ-საათი ზენორმატიული მოცდენა და 68 ათასამდე მანეთის ჯარიმის გადახდაც. ამ მხრივ ნაკლოვანებები აქვს მოტობლოკების ქარხანას, „მრეწვრკინიგზას“, მე-4 სამშენებლო ტრესტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს, რეზინ-ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანას, ღვინის ქარხანას, „ნავთობბაზას“ და სხვ.

მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ კომერციისა და სატვირთო სამუშაოების დარგში სადგურის უფროსის მოადგილეს ნ. ქუთათელაძეს სათანადო კონტროლი და მომთხოვნელობა არა აქვს დაწესებული დაქვემდებარებული სამსახურებისადმი. წლების განმავლობაში გადაუჭრელ პრობლემად რჩება სატვირთო ეზოში (გამგე — ა. შეყრილაძე) სათანადო წესრიგის დამყარება. ლიანდაგების უმრავლესობა საიმედოდ არ არის გამაგრებული, თვით ეზო და მისასვლელი გზა ორმოებს დაუფარავს, ტერიტორია ცუდად ნათდება, ტექნიკურად ამორტიზებულია ხუთტონიანი ამწე. ასეთ პირობებში, ადვილი წარმოსადგენია, როგორ შეიძლება დაჩქარდეს სატვირთო ოპერაციები. სწორედ ესეც განაპირობებს გამოყოფილი ავტოტრანსპორტის დიდ მოცდენებს, რისთვისაც შარშან სადგურმა 29600 მანეთზე მეტი ჯარიმა გადაიხადა.

თვითდინებაზეა მიშვებული მტვირთავთა ბრიგადების მუშაობა. ისინი ხშირად სატვირთო ოპერაციებს საღამოს 8-ის ნაცვლად 6 საათზე წყვეტენ. უბნის უფროსს ლ. კუბლაშვილს კი არც შრომის დისციპლინის ასეთი დარღვევა აწუხებს და არც ის, რომ ამის გამო მარტო 19 დეკემბრიდან 30 იანვრამდე 17 ვაგონი 3239 ვაგონსაათს მოცდა.

სადგურში შექმნილ მდგომარეობაზე იმსჯელა ქუთაისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა და სათანადო ღონისძიებებიც დასახა, დასაჯა დამნაშავე პირებიც. სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურების მიზნით ორი თვის ხელფასის გადახდა დაეკისრათ „ნავთობბაზის“ მთავარ ინჟინერს ბ. ციბაძეს, ავეჯის სახლის დირექტორს ო. გვილავას, „მრეწვრკინიგზის“ დირექტორს რ. სვანიძეს, მოტობლოკების ქარხნის დირექტორის მოადგილეს ზ. თადუმაძეს, ხოლო ერთი თვისა — მე-4 სამშენებლო ტრესტის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოს მთავარ ინჟინერს რ. ჩაკვეტაძეს.

კომიტეტმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა დატვირთვა-გაგზავნის მექანიზაციის უბნის უფროსს ლ. კუბლაშვილს და რკინიგზის სამტრედიის განყოფილების ხელმძღვანელობის წინაშე დააყენა ამ თანამდებობაზე მისი დატოვების მიზანშეუწონლობის საკითხი.

რკინიგზის შემადგენლობების, ვაგონების გამოყენების ეფექტიანობის გადიდება არსებითს გვიჩვენებს ამ დარგში ბოლო-ელექტროენერგია, ეს ეკონომიურ-ტექნიკური ღონისძიებაა, ეს ფული ბოლოდროინდელ ინფლაციურ ფასებში 1 მილიონ 200 ათასი მანეთი ღირს. ეს ეფექტიანობა ბევრ ადგილზე ჯერ ისევ ფაქტად ქცეულა, ბევრ ადგილზე ეს ეფექტიანობა

სოციალური უზრუნველყოფა გარანტირებულია კონსტიტუციით

ყველაფერი პენსიების შესახებ

პატივცემულო მკითხველო!

გაზეთ „კომუნისტის“ დღევანდელი ნომრის ჩანართის ორივე გვერდზე ქვეყნდება საბჭოთა სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობის მიხედვით შედგენილი საცნობარო მასალა:

წაიკითხეთ, დაიხსომეთ, იხელმძღვანელეთ და გამოიყენეთ ცხოვრებასა და მუშაობაში:

ადამიანზე ფიქრით და ზრუნვით

საბჭოთა საზოგადოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა პარტიის სოციალური პროგრამის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

შრომისა და ომის ვეტერანების კეთილდღეობისათვის, მათი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ფიქრი, ზრუნვა და პრაქტიკული მოღვაწეობა პარტიასა და მთავრობას უპირველეს ამოცანად მიაჩნიათ. პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე მეთორმეტე ხუთწლედში ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების ვრცელი პროგრამა განხორციელდა. გადიდდა მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა მინიმალური პენსიები და პენსიის დანამატი უწყვეტი სტაჟისათვის, გაიზარდა I და II ჯგუფის ომის ინვალიდთა და ათი წლის წინათ მუშა-მოსამსახურეთათვის 60 მანეთამდე ოდენობით დანიშნული პენსიები, აგრეთვე დახმარება ბავშვებიანი ოჯახებისა და მარტოხელა ქალებისადმი.

ამჟამად ჩვენი ქვეყნის ყოველი მეხუთე მოქალაქე პენსია-დახმარებას იღებს.

ამ დანიშნულებით სახელმწიფო გამოყოფს აურაცხელ სახსრებს; გასულ 1985 წელს მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას მოხმარდა 57 მილიარდ მანეთზე მეტი, აქედან 42 მილიარდი მანეთი — მარტო საპენსიო უზრუნველყოფას.

საქართველოში ამჟამად პენსია-დახმარებებს თითქმის მილიონნაზე მეტი კაცი იღებს.

რესპუბლიკაში სოციუზრუნველყოფას 1985 წელს, წინასწარი მონაცემებით, მოხმარდა 890 მილიონი მანეთი, რაც თითქმის 200 მილიონით აღემატება ამ დანიშნულებებით 1980 წელს გამოყენებულ სახსრებს.

ქვეყნის მოსახლეობის სოციუზრუნველყოფის შემდგომი სრულყოფისა და განვითარების ჰეშმარიტად გრანდიოზული ამოცანები დასახა პარტიის XXVII ყრილობამ. მეთორმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეთა ასაკისა და ინვალიდობის პენსიების მინიმალური და კოლმეურნეთათვის წინათ დანიშნული პენსიების, ბავშვიანი ოჯახებისა და ბავშვობიდან ინვალიდებისათვის დანიშნული დახმარებების გადიდება, შრომისა და ომის ვეტერანთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესება. მარტოხელა ხანდაზმულ და შრომისუუნარო მოქალაქეთა შინ მომსახურების გაფართოება, სახლ-ინტერნატთა ქსელის გაზრდა იქ მცხოვრებთა სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების არსებითი გაუმჯობესება. ამ ამოცანების პრაქტიკული განხორციელებისათვის, სახელმწიფო ყოველწლიურად დამატებით გამოყოფს ათეულ მილიარდ მანეთს.

ამრიგად, დასახული ამოცანები ჰეშმარიტად მასშტაბური და შთამბეჭდავია. მათი განხორციელება მოითხოვს სოციალური უზრუნველყოფის ყველა ორგანოს და ყოველი მუშაკის მუშაობის სრულყოფასა და გარდაქმნას, ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოფხვრას.

რესპუბლიკაში ყოველწლიურად პენსია ახლად ენიშნება და გადაუნგარიშდება 120-130 ათას მოქალაქეს. ბუნებრივია, რომ ბევრ მათგანს ამასთან დაკავშირებით ებადება მრავალი კითხვა, რასაც ადასტურებს წერილები და შეკითხვები, რომლებსაც რედაქცია ყოველდღიურად იღებს.

იმ მიზნით, რომ დავკმაყოფილოთ წერილებისა და შეკითხვების ავტორთა თხოვნა, ჩვენი გაზეთის რედაქციამ გადაწყვიტა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან ერთად მოეშზადებინა კითხვა-პასუხის სპეციალური ჩანართი სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე.

ვფიქრობთ, ჩანართში გამოქვეყნებული კონსულტაცია გარკვეულ დახმარებას გაუწევს მშრომელთა სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხებით დაინტერესებულ მკითხველებს, სათანადო საწარმოებსა და ორგანიზაციებს.

მოხუცებულობის პენსიის დანიშვნა

კითხვა: ვის ენიშნება მოხუცებულობის სახელმწიფო პენსია 55 წელზე ადრე ასაკში და რა პირობებში?

პასუხი: ქალებს, რომლებმაც შობეს და 8 წლის ასაკამდე აღზარდეს ხუთი ან მეტი შვილი, მოხუცებულობის პენსიის მიღების უფლება აქვთ 50 წლის მიღწევის შემდეგ, თუ აქვთ არანაკლებ 15 წლის მუშაობის სტაჟი.

55 წლის ასაკში მოხუცებულობის პენსია ენიშნებათ მამაკაცებს, რომლებიც დაინვალიდნენ სსრ კავშირის დაცვის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების შედეგად ან ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებულ სხვა დაავადებათა შედეგად და აქვთ მუშაობის 25 წლის სტაჟი. ამავე მიზეზით დაინვალიდებულ ქალებს მოხუცებულობის პენსია ენიშნებათ 50 წლის ასაკში, თუ აქვთ მუშაობის არანაკლებ 20 წლის სტაჟი.

განსაკუთრებით შეღავათიანია უსინათლო მუშა-მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფა.

მამაკაცებს, რომლებიც საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიის მიერ ცნობილი არიან I ჯგუფის ინვალიდად როგორც სრული უსინათლოები, პენსიის მიღების უფლება აქვთ 50 წლის მიღწევის შემდეგ, თუ აქვთ მუშაობის 15 წლის სტაჟი, ხოლო ქალებს 40-წლის შესრულების შემდეგ, თუ აქვთ მუშაობის არანაკლებ 10 წლის სტაჟი.

კითხვა: როგორი წესით ხდება მოხუცებულობის პენსიის ძირითადი ოდენობების განსაზღვრა და რა სახის დანამატები ერიცხება აღნიშნულ პენსიას?

პასუხი: 100 მანეთამდე საშუალო ხელფასის შემთხვევაში პენსია გამოიანგარიშება პროცენტულად გამომუშავების მიმართ, ხოლო 100 მანეთზე მეტი გამომუშავების შემთხვევაში პენსიის ძირითადი ოდენობა იქნება საშუალო თვიური გამომუშავების 50 პროცენტი. თუ მუშა-მოსამსახურეს აქვს მუშაობის 15 წელზე მეტი განუწყვეტელი ან მამაკაცებს 35, ხოლო ქალებს 30 წლის საერთო შრომის სტაჟი, ერიცხებათ პენსიის დანამატი 10 პროცენტი.

პენსიის დასანიშნად საჭირო სტაჟზე 10 წლით მეტი საერთო სტაჟისა და ერთდროულად 25 წლის განუ-ვეტელი **სტაჟის მქონე მუშა**-მოსამსახურეებს 1983 წლის 1 იანვრიდან ერიცხებათ პენსიის დანამატი 20 პროცენტის ოდენობით. აღნიშნული დანამატის დარიცხვის დროს შეღავათი ვრცელდება ქალებზე, რომელთაც ჰყავთ შვილები, მათთვის 30 წლის საერთო და 20 წლის უწყვეტი შრომის სტაჟი საკმარისია პენსიის 20 პროცენტი დანამატის დასარიცხად. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ პენსიის 20 პროცენტი დანამატის დარიცხვის დროს უწყვეტად ითვლება ერთ ან გადაყვანით რამდენიმე დაწესებულებაში მუშაობის პერიოდები, ამასთან დანამატის დასარიცხად ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა პროგნოზება 1983 წლის 1 იანვრისათვის ან უფრო მოგვიანებით იყოს მომუშავე. მოხუცებულობის პენსიის დანამატი ირიცხება აგრეთვე ოჯახის შრომისუუნარო წევრების კმაყოფაზე ყოფნის გამო: ერთი წევრისათვის პენსიის 10 პროცენტი, ხოლო ორი ან მეტი წევრისათვის —15 პროცენტის ოდენობით.

კითხვა: სამამულო ომის მონაწილეებს 1985 წლის 1 მაისიდან ეკუთვნით თუ არა მოხუცებულობის პენსიის 20 პროცენტი დანამატის დარიცხვა და რა პირობებში?

პასუხი: თუ სამამულო ომის მონაწილეს ჰქონდა პენსიის 20 პროცენტი დანამატის დასარიცხად საჭირო უწყვეტი და საერთო შრომის სტაჟი, მაგრამ დანამატის დარიცხვას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ 1983 წლის 1 იანვრისათვის ან შემდგომ პერიოდში არ იყო მომუშავე, 1985 წლის 1 მაისიდან მათ აღნიშნული პირობა აღარ მოეთხოვებათ და მიუხედავად იმისა იმუშავებენ თუ არა, მაინც ეძლევათ პენსიის 20 პროცენტი დანამატი. ხოლო, თუ ომის ინვალიდებს ან მონაწილეებს აქვთ სათანადო პირობები, რის გამოც პენსიის ზემოაღნიშნული დანამატი 1985 წლის მაისამდე ჰქონდათ დარიცხული, აღნიშნული დროიდან მათთვის დანამატის განმეორებით დარიცხვას კანონი არ ითვალისწინებს.

კითხვა: ეკუთვნის თუ არა პენსიის 20 პროცენტი დანამატის დარიცხვა 7 შვილის დედას, რომელსაც 26 წლის საერთო, 21 წლის ერთ ადგილზე განუწყვეტელი მუშაობის სტაჟი აქვს და კვლავ განაგრძობს მუშაობას?

პასუხი: ქალებს, რომლებმაც შობეს და 8 წლის ასაკამდე აღზარდეს 5 ან მეტი შვილი, მოხუცებულობის პენსიის 20 პროცენტი დანამატი დაერიცხებათ ძირითადი პენსიის 10 პროცენტის ოდენობით, რისთვისაც განცხადებით უნდა მიმართოთ სოციუზრუნველყოფის განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. პენსიონერის მუშაობა ხელს არ შეუშლის ამ დანამატის დაწესებას.

კითხვა: შეიძლება თუ არა მოსწავლეებს ინვალიდობის პენსია დაენიშნოთ შრომითი დასახიჩრებით ან პროფდაავადებით?

პასუხი: შეიძლება, თუ ინვალიდობა გამოწვეულია შრომითი დასახიჩრებით ან პროფესიული დაავადებით, საწარმოო პრაქტიკის გავლის ან საწარმოო სწავლებასთან დაკავშირებით.

კითხვა: 25 წლის ასაკში დამენიშნა ინვალიდობის III ჯგუფის პენსია შრომითი დასახიჩრებით, რომელსაც 8 წლის მანძილზე ვღებულობდი. ამჟამად საექიმო-შრომითმა საექსპერტო კომისიამ კვლავ III ჯგუფი დამიდგინა, მაგრამ არა შრომითი დასახიჩრებით, არამედ საერთო დაავადებით. ვარ 33 წლის, მაქვს 3 წლის შრომის სტაჟი. მეკუთვნის თუ არა რაიმე სახის პენსია?

კასუხი: პენსია შრომითი დასახიჩრებით, რა თქმა უნდა, აღარ გეკუთვნით. შრომითი დასახიჩრებით პენსიიდან საერთო დაავადებით პენსიაზე გადასვლისას ინვალიდ მოეთხოვება იმ ასაკის შესაბამისი სტაჟი, რა ასაკისაც იყო იგი თავდაპირველად, ინვალიდობის დადგენის დროისათვის.

ინვალიდობის დადგენის დროს თქვენ იყავით 25 წლის, ამ ასაკის მამაკაცს მოეთხოვება არანაკლებ 3 წლის სტაჟი, ეს სტაჟი თქვენ გაქვთ და იპოვებთ უფლებას ინვალიდობის პენსიაზე საერთო დაავადების გამო.

თქვენ რომ შრომითი დასახიჩრებით პენსიიდან არ გადადიოდეთ საერთო დაავადებით პენსიაზე და პირველად გენიშნებოდეთ იგი, მაშინ 33 წლის ასაკის შესაბამისად მოგეთხოვებოდათ 7 წლის სტაჟი, რაც თქვენ არ გაგაჩნიათ და ვერ მოიპოვებდით უფლებას პენსიაზე.

კითხვა: ვმუშაობ თბილისის ერთ-ერთ საწარმოში საამქროს ოსტატად, ვარ სახალხო რაზმელი. სოციალისტური მარილწესრიგის დაცვისას სახალხო რაზმელის მოვალეობის შესრულების დროს მივიღე ტრავმა და დავინვალიდდი. როგორ დამენიშნება პენსია — შრომითი დასახიჩრებით თუ საერთო დაავადებით?

პასუხი: ასეთ პირობებში პენსია დაინიშნება შრომითი დასახიჩრებით, ე. ი. ყოველგვარი შრომის სტაჟის მოთხოვნის გარეშე.

კითხვა: ვარ დონორი, არ ვმუშაობ, დონორის ფუნქციის შესრულებისას მივიღე ინვალიდობა. მაქვს თუ არა შრომითი დასახიჩრებით პენსიის მიღების უფლება?

პასუხი: თუ მუშა ან მოსამსახურე არა ხართ, დონორის ფუნქციის შესრულებისას დაინვალიდებისათვის დასახიჩრების ნორმით ინვალიდობის პენსიაზე უფლებას ვერ მოიპოვებთ. თუ გაქვთ ასაკის შესაბამისი შრომის სტაჟი, შეიძლება დაგენიშნოთ ინვალიდობის პენსია საერთო დაავადებით.

თუ დონორი ამავე დროს არის მუშა ან მოსამსახურე და დონორის ფუნქციის შესრულების დროს დაინვალიდდა, მას უფლება აქვს ინვალიდობის პენსიაზე შრომითი დასახიჩრებით, ე. ი. სტაჟის მიუხედავად.

კითხვა: ვმუშაობ კერძო პირთან დაქირავებით — მძღოლად. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას უბედური შემთხვევის შედეგად დავინვალიდდი. მეკუთვნის თუ არა პენსია შრომითი დასახიჩრებით?

პასუხი: ცალკეულ მოქალაქეებთან დაქირავებით მომუშავე პირებზე ვრცელდება სახელმწიფო სოციალური დაზღვევა, ამიტომ თუ ინვალიდობის გამომწვევი უბედური შემთხვევა მოხდა თქვენ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, უფლება გაქვთ მიიღოთ პენსია შრომითი დასახიჩრებით.

კითხვა: ვარ შრომის II ჯგუფის ინვალიდი, დარიცხული მაქვს პენსიაზე 20 მანეთი დანამატი კმაყოფაზე მყოფი ოჯახის შრომისუუნარო წევრებისათვის, ამჟამად არ ვმუშაობ და ვსწავლობ ტექნიკუმში, ვღებულობ სტიპენდიას. სწავლის პერიოდში მომეცემა თუ არა პენსიის დანამატი 20 მანეთის ოდენობით ოჯახის შრომისუუნარო წევრებისათვის?

პასუხი: მოქმედი კანონმდებლობით დანამატი ოჯახის შრომისუუნარო წევრებისათვის არ მიეცემათ მომუშავე პენსიონერებს. მოსწავლეებისათვის ასეთი შეზღუდვა კანონით გათვალისწინებული არ არის. ამიტომ თქვენ სწავლის პერიოდში გეკუთვნით დანამატი კმაყოფაზე მყოფი ოჯახის შრომისუუნარო წევრებისათვის. ის, რომ სტიპენდიას ღებულობთ, არ გიკარგავთ ამ დანამატის მიღების უფლებას.

კითხვა: ვარ შრომის I ჯგუფის ინვალიდი საერთო დაავადებით. საშუალო ხელფასი, საიდანაც პენსია მაქვს გამოანგარიშებული შეადგენდა 110 მანეთს. პენსია დამენიშნა მინიმალური ოდენობით — თვეში 75 მანეთი. არ ვღებულობ დანამატს მოვლისათვის 15 მანეთის ოდენობით. რამდენად სწორია სოციუზრუნველყოფის განყოფილება?

პასუხი: საერთო დაავადებით შრომის I ჯგუფის ინვალიდებს პენსიის ძირითადი ოდენობა გამოუნგარიშდებათ მოხუცებულობის პენსიის 100 პროცენტის ოდენობით. 110 მანეთიდან პენსიის ძირითადი ოდენობა (როგორც მოხუცებულობით, ისე I ჯგუფის ინვალიდობით) შეადგენს 55 მანეთს. (110 მანეთის 50 პროცენტს), მას დაემატება მოვლისათვის 15 მანეთი და პენსიის ოდენობა გახდება 70 მანეთი. ვინაიდან საერთო დაავადებით I ჯგუფის ინვალიდის პენსიის მინიმალური ოდენობა არ შეიძლება იყოს 75 მანეთზე ნაკლები, პენსია გადიდდება 75 მანეთამდე, ე. ი. თქვენ ფაქტობრივად დაწესებული გაქვთ მოვლის დანამატი, მაგრამ ხელფასის სიმცირის გამო პენსიამ ამ დანამატიანად ვერ მიაღწია მინიმალურ ოდენობას. ამდენად პენსია მინიმალური ოდენობით — თვეში 75 მანეთი სწორად გაქვთ დანიშნული.

კითხვა: ვარ შრომის I ჯგუფის ინვალიდი, არ ვმუშაობ, კმაყოფაზე მყავს შვილი — ბავშვობიდან II ჯგუფის ინვალიდი, რომელიც ღებულობს ყოველთვიურ დახმარებას 25 მანეთს. მეკუთვნის თუ არა პენსიის დანამატი კმაყოფაზე მყოფი ბავშვობიდან ინვალიდი შვილისათვის?

პასუხი: არამომუშავე I და II ჯგუფის ინვალიდებს, რომლებსაც კმაყოფაზე ჰყავთ ბავშვობიდან I ან II ჯგუფის ინვალიდი შვილები, ეკუთვნით დანამატი ოჯახის ამ შრომისუუნარო წევრებისათვის, მიუხედავად იმისა, ღებულობენ თუ არა ისინი ყოველთვიურ დახმარებას ბავშვობიდან I ან II ჯგუფის ინვალიდობისათვის.

კითხვა: ვარ III ჯგუფის ინვალიდი სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს მიღებული დასახიჩრების შედეგად, სოციუზრუნველყოფის განყოფილებამ უარი მითხრა საბჭოთა არმიაში გაწვევამდე ქარხანაში მუშაობის დროს ხელფასიდან (200 მანეთი) პენსიის გამოანგარიშებაზე და მტკიცე ნორმით დამინიშნა პენსია თვეში 40 მანეთი იმ მოტივით, რომ პირადი განცხადებით სამუშაოდან განთავისუფლების დღიდან საბჭოთა არმიაში გაწვევის დღემდე გასული იყო 5 თვე. სწორია თუ არა პასუხი?

პასუხი: სამხედრო მოსამსახურეებს ხელფასიდან პენსია შეიძლება გამოუანგარიშდეთ, თუ საბჭოთა არმიაში გაწვევის მომენტში მუშაობდნენ მუშაებად და მოსამსახურეებად, ან პირადი განცხადებით სამუშაოდან განთავისუფლების დღიდან საბჭოთა არმიაში გაწვევის დღემდე არ გასულა 3 თვეზე მეტი, ან თუ სამუშაოდან განთავისუფლებიდან გასულია სამ თვეზე მეტი, მაგრამ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე უნარჩუნდებოდათ განუწყვეტელი შრომის სტაჟი. ვინაიდან თქვენი მდგომარეობა არ აკმაყოფილებს არც ერთ ჩამოთვლილ პირობას, თქვენ არ ჩაითვლებით მომუშავედ საბჭოთა არმიაში გაწვევის მომენტში და ხელფასიდან პენსია არ გამოგიანგარიშდებათ. სოციუზრუნველყოფის განყოფილების პასუხი თქვენთვის მტკიცე ნორმით პენსიის დანიშვნის შესახებ სავსებით კანონიერია. თუ მტკიცე ნორმით პენსიის დანიშვნის შემდეგ იმუშავებთ მუშად ან მოსამსახურედ არანაკლებ ორი წლისა, პენსია, თქვენი თხოვნით, შეიძლება გადაგიანგარიშდეთ ამ ორი წლის ხელფასიდან.

პენსიის დანიშვნა მარჩენლის გარდაცვალების გამო

კითხვა: მეუღლე გარდამეცვალა, როდესაც ვიყავი 48 წლის. მაშინ პენსია არ დამენიშნა, რადგან შრომისუნარიანად ვითვლებოდი. საპენსიო ასაკის (55 წლის) შესრულების შემდეგაც უარი მითხრეს იმ მოტივით, რომ მყავს შრომისუნარიანი შვილები და საპენსიო ასაკი შემისრულდა მეუღლის გარდაცვალებიდან 7 წლის შემდეგ. მეკუთვნის თუ არა პენსია მარჩენლის გარდაცვალების გამო?

პასუხი: გარდაცვლილის მეუღლეს პენსიის მიღების უფლება აქვს იმ შემთხვევაში, თუ მის კმაყოფაზე იმყოფებოდა და მიაღწია მოხუცებულობის ასაკს ან დაინვალიდდა მარჩენლის სიკვდილამდე ან მისი სიკვდილის შემდეგ 5 წლის განმავლობაში. ვინაიდან თქვენ მოხუცებულობის ასაკს მიაღწიეთ მეუღლის გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ, პენსიის დანიშვნაზე საწორად გეთქვათ უარი.

კითხვა: გარდამეცვალა მეუღლე, რომლის კმაყოფაზეც ვიმყოფებოდით მე და ორი შვილი — 10 და 5 წლის. როდიდან დამენიშნება პენსია და ოჯახის რამდენ წევრზე?

პასუხი: პენსია დაგენიშნებათ მეუღლის გარდაცვალების დღიდან, თუ პენსიის დანიშვნის შესახებ განცხადებით მიმართეთ მარჩენლის გარდაცვალებიდან სამი თვის განმავლობაში. ოჯახის სამივე წევრს: ბავშვებს სრულწლოვანებამდე (16 წლამდე, მოსწავლეებს — 18 წლამდე) და თქვენ, უმცროსი შვილის 8 წლის ასაკის შესრულებამდე იმ შემთხვევაში, თუ არ იმუშავებთ.

კითხვა: გარდამეცვალა მეუღლე, ვარ 52 წლის, არ ვმუშაობ. ინვალიდობის ჯგუფი დამიდგინდა მეუღლის გარდაცვალებიდან 5 თვის შემდეგ. მომეცემა თუ არა პენსია მეუღლის გარდაცვალების დღიდან?

პასუხი: ვინაიდან მეუღლის გარდაცვალების დღისათვის თქვენ არ იყავით შრომისუნარმოკლებული, პენსია დაგენიშნებათ ინვალიდობის ჯგუფის დადგენის შემდეგ, განცხადებით მიმართვის დღიდან.

კითხვა: მამის გარდაცვალების გამო პენსია დაენიშნა შვილს, რომელიც სამი თვის შემდეგ შესრულდება 16 წლისა. არ სწავლობს. მიეცემა თუ არა პენსია 18 წლის ასაკამდე?

პასუხი: თუ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისია მას 16 წლის შესრულებამდე დაუდგენს ინვალიდობის რომელმე ჯგუფს, მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუგრძელდება 16 წლის ასაკის შესრულების შემდეგ პენსიის გაცემა.

კითხვა: დანიშნული მაქვს მესამე ჯგუფის ინვალიდობის პენსია 26 მანეთი. არ ვმუშაობ. გარდამეცვალა მეუღლე, რომელიც ღებულობდა მოხუცებულობის პენსიას — თვეში 120 მანეთს. დამენიშნება თუ არა პენსია მეუღლის გარდაცვალების გამო?

პასუხი: პენსია გამოიანგარიშება მარჩენლის საშუალო გამომუშავების შესაბამისად. თუ მეუღლის გარდაცვალების გამო დასანიშნი პენსიის ოდენობა აღემატება თქვენს ინვალიდობის პენსიას, შეგიძლიათ ინვალიდობით პენსიის ნაცვლად დაინიშნოთ პენსია მარჩენლის გარდაცვალების გამო.

კითხვა: ვარ პენსიონერი. შვილის სამამულო ომში დაღუპვის შეტყობინება წარვადგინე სოციუზრუნველყოფის განყოფილებაში. დამენიშნება თუ არა პენსია მარჩენლის დაკარგვის გამო და რა დროიდან?

პასუხი: სამამულო ომში დაღუპულთა დედებს და მეუღლეებს პენსია დაენიშნებათ მიუხედავად იმისა, იმყოფებოდნენ თუ არა ისინი დაღუპულის კმაყოფაზე. თქვენ, როგორც პენსიონერს, პენსია შვილის დაღუპვის გამო დაგენიშნებათ მიმართვის დღიდან, ამასთან იმავე რიცხვიდან მოგეხსნებათ ადრე დანიშნული პენსია. ხოლო იმ პირებს, რომლებიც არავითარი სახის პენსიას არ ღებულობენ, ასეთ შემთხვევაში პენსია დაენიშნებათ სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებაში განცხადების შეტანის დღიდან, არაუადრეს ერთი წლისა.

კითხვა: მყავს II ჯგუფის ინვალიდი შვილი, რომელიც ღებულობს პენსიას, სხვა არავინ არ მყავს. მოხუცებულობის ასაკი შემისრულდა მეუღლის გარდაცვალებიდან 8 წლის შემდეგ. დამენიშნება თუ არა პენსია მეუღლის გარდაცვალების გამო?

პასუხი: ვინაიდან თქვენ არა გყავთ შრომისუნარიანი შვილები, მეუღლის გარდაცვალების გამო პენსიის დანიშვნის უფლებას მოიპოვებთ იმის მიუხედავად, რომ მოხუცებულობის ასაკი შეგისრულდათ მეუღლის გარდაცვალებიდან 5 წლის გასვლის შემდეგ.

შეღავათიანი პენსია

კითხვა: ვინ სარგებლობს შეღავათიანი საპენსიო უზრუნველყოფის უფლებით?

პასუხი: შეღავათიანი საპენსიო უზრუნველყოფით სარგებლობენ მუშები და მოსამსახურეები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1956 წლის 22 აგვისტოს № 1173 დადგენილებით დამტკიცებულ საწარმოთა, საამქროთა, პროფესიათა და თანამდებობათა № 1 და № 2 სიის მიხედვით.

კითხვა: რა მნიშვნელობა ენიჭება შეღავათიანი საპენსიო უზრუნველყოფის საკითხის გადაწყვეტისას საწარმოს ან ორგანიზაციის კუთვნილებას ან მის სტრუქტურას?

პასუხი: აღნიშნულ საკითხს გადამწყვეტი ყურადღება ენიჭება, რადგან მუშაკთა უმრავლესობას შეღავათიანი პირობებით პენსია შეიძლება დაენიშნოთ მხოლოდ მაშინ, თუ ისინი ისეთ სამუშაოს ასრულებენ, სადაც შრომის განსაკუთრებით მძიმე პირობებია. შეღავათიან პირობებში პენსიის დანიშვნის ყველა შემთხვევაში საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან დოკუმენტურად დაადასტურონ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ხასიათი და შრომის პირობები, სადაც მუშაობა უხდებოდათ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებსაც შეღავათიან პირობებში ენიშნებათ პენსია.

კითხვა: შეღავათიანი საპენსიო უზრუნველყოფით სარგებლობენ თუ არა კოლმეურნეობაში მომუშავე ელექტროშემდუღებლები ან მჭედლები?

პასუხი: კოლმეურნეობაში მომუშავე ელექტროშემდუღებლები და მჭედლები შეღავათიანი პირობებით პენსიაზე უფლებას ვერ იპოვებენ, მიუხედავად იმისა, ისინი კოლმეურნეობის წევრები არიან თუ შრომითი ხელშეკრულებით მუშაობენ.

კითხვა: სარგებლობენ თუ არა სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციებში მომუშავე საშუშაოთა მწარმოებლები 55 წლის ასაკში შეღავათიანი პირობებით პენსიაზე გასვლის უფლებით, თუ მათ აქვთ საერთო მუშაობის არანაკლები 25 წლის სტაჟი, ხოლო ამ პროფესიით მუშაობის არანაკლები 12 წელი და 6 თვე?

პასუხი: მხოლოდ ახალ ნაგებობათა მშენებლობაზე მომუშავე სპეციალიზებული სამშენებლო ორგანიზაციის სამუშაოთა მწარმოებელი სარგებლობენ ამ უფლებით. სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციის მუშაკები თუნდაც ახალ ნაგებობათა ან კაპიტალურ მშენებლობაზე იყვნენ დასაქმებული, ამ უფლებით არ სარგებლობენ.

კითხვა: სარგებლობენ თუ არა შეღავათიანი პირობებით პენსიის დანიშვნის უფლებით ახალ მშენებლობაზე მომუშავე მლესავები?

პასუხი: დასახელებული პროფესიის პირები მხოლოდ იმ შემთხვევაში ეპოვებენ № 2 სიით პენსიის დანიშვნის უფლებას, თუ ისინი მიწისქვეშა ახალ მშენებლობათა ნაგებობაზე მუშაობენ.

კითხვა: დაენიშნება თუ არა შეღავათიანი პირობებით პენსია პურის მცხობლებს, როგორც ცხელ უბანზე მომუშავეებს, ან წყლის მქლორავებს, როგორც მავნე ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებულ მუშაკებს?

პასუხი: ასეთი სახის პენსია მათ არ დაენიშნებათ.

კითხვა: შეღავათის მიმნიჭებელ საჭირო მუშაობის სტაჟში ჩაითვლება თუ არა ის პერიოდი, როცა მაგალითად, პოლკლინიკაში რენტგენოლოგად მუშაობდა მუშაკი ნახევარ განაკვეთზე და ორჯერ მეტი სტაჟი აქვს, ვიდრე მას მოეთხოვება შეღავათიანი პირობებით პენსიის დასანიშნად?

პასუხი: შეღავათის მიმნიჭებელ სამუშაოზე მუშაობა უფლებას აძლევს მუშაკს მიიღოს შეღავათიანი პირობებით პენსია, თუ დადგენილებაში გათვალისწინებულ თანამდებობებზე მთელ განაკვეთზე სრული სამუშაო დრო აქვს ნამუშევარი. ნახევარ განაკვეთზე მუშაობა, თუნდაც ორჯერ მეტი დროის განმავლობაში, ასეთი სახის პენსიის დანიშვნის უფლებას არ იძლევა.

პენსიები არასრული სტაჟით

კითხვა: შეიძლება თუ არა მოქალაქეს დაენიშნოს ასაკის პენსია, თუ მას არა აქვს კანონით დადგენილი სრული შრომის სტაჟი?

პასუხი: მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელთაც არა აქვთ ასაკის პენსიის დასანიშნად საჭირო სტაჟი (მამაკაცებს არანაკლებ 25 წლისა, ქალებს — 20 წელი), შეიძლება დაენიშნოთ ასაკის პენსია არასრული სტაჟით, თუ გააჩნიათ ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

ა) თუ საპენსიო ასაკს (მამაკაცებმა — 60 წელი, ქალებმა — 55 წელი) მიაღწიეს მუშაობის პერიოდში;

ბ) იმუშავეს არანაკლებ 5 წლისა;

გ) უშუალოდ პენსიის დასანიშნად მიმართვის წინ იმუშავეს არანაკლებ 3 წლისა (ამ სამწლიან პერიოდში დაიშვება წყვეტები მუშაობაში, რომელიც საერთო ჯამით არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს); ამასთან პენსიის დასანიშნად მიმართეს მუშაობის პერიოდში ან არა უგვიანეს ერთი თვისა მუშაობის შეწყვეტის დღიდან.

კითხვა: არასრული სტაჟით პენსიის დანიშვნისას რა შეღავათით სარგებლობენ მრავალშვილიანი დედები?

პასუხი: ქალებს, რომლებმაც შობეს 5 ან მეტი შვილი და აღზარდეს ისინი 8 წლის ასაკამდე, აგრეთვე ბავშვობიდან ინვალიდი შვილების 8 წლის ასაკამდე აღმზრდელ დედებს პენსია არასრული სტაჟით ენიშნებათ 55 წლის მიღწევის შემდეგ მხოლოდ ერთი პირობით — თუ აქვთ სახელმწიფო საწარმო-დაწესებულებებში მუშაობის არანაკლებ 5 წლის შრომის სტაჟი.

კითხვა: დაენიშნება თუ არა ინვალიდობის პენსია საერთო დაავადებით იმ პირს, რომელსაც არა აქვს სრული პენსიის დასანიშნად ასაკის შესაბამისი სტაჟი?

პასუხი: მუშა-მოსამსახურეებს, რომელთაც არა აქვთ სრული პენსიის დასანიშნად საჭირო შრომის სტაჟი, ინვალიდობის პენსია ენიშნებათ თუ მუშაობის პერიოდში გახდნენ I ან II ჯგუფის ინვალიდები საერთო დაავადებით.

კითხვა: რა ხანგრძლივობის შრომის სტაჟია საჭირო ინვალიდობის გამო არასრული სტაჟით პენსიის დასანიშნად?

პასუხი: აღნიშნული პენსიის დასანიშნად მოქმედი საპენსიო კანონმდებლობით სტაჟის მინიმალური ოდენობა დადგენილი არ არის, მაგრამ პენსიის ოდენობა განისაზღვრება მუშაობის არსებული სტაჟის პროპორციულად.

კითხვა: ბავშვობიდან I ან II ჯგუფის ინვალიდებს აქვთ თუ არა უფლება მიიღონ ინვალიდობის პენსია არასრული სტაჟით?

პასუხი: ბავშვობიდან I ან II ჯგუფის ინვალიდებს ასეთი პენსიის მიღების უფლება არა აქვთ, ვინაიდან ისინი დაინვალიდდნენ არა მუშაობის პერიოდში, არამედ მუშაობის დაწყებამდე. ამასთან თუ ბავშვობიდან ინვალიდებს მათი შრომითი საქმიანობის პერიოდში ჯანმრთელობის გაუარესების გამო უფრო მაღალი ჯგუფი დაუდგინდებათ და საერთო დაავადებით გამოწვეული I ან II ჯგუფის ინვალიდები გახდებიან, მათ შეიძლება დაენიშნოთ ინვალიდობის პენსია არასრული სტაჟით, როგორც მუშაობის პერიოდში საერთო დაავადებით დაინვალიდებულთ.

კითხვა: დაენიშნება თუ არა ოჯახს პენსია მარჩენლის დაკარგვის გამო, თუ მარჩენალი გარდაიცვალა საერთო დაავადებით და არ ჰქონდა ინვალიდობის სრული პენსიის დასანიშნად საჭირო შრომის სტაჟი?

პასუხი: ოჯახის შრომისუუნარო წევრებს პენსია დაენიშნებათ არასრული სტაჟით, თუ მარჩენელი გარდაიცვალა მუშად ან მოსამსახურედ მუშაობის პერიოდში. ამასთან პენსიის უფლების განსაზღვრისათვის მუშაობის ხანგრძლივობა მხედველობაში არ მიიღება.

კითხვა: როგორ გამოიანგარიშება პენსია არასრული სტაჟით?

პასუხი: პენსია არასრული სტაჟით ინიშნება არსებული სტაჟის პროპორციული ოდენობით, მაგრამ არ უნდა იყოს იმ სრული პენსიის მეოთხედზე ნაკლები, რომელიც მოუწევდა მოქალ

სოციალური უზრუნველყოფა გარანტირებულია კონსტიტუციით

სსრ კავშირის მოქალაქეებს სიბერეში, ავადმყოფობის, შრომისუნარიანობის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის, აგრეთვე მარჩენლის დაკარგვის შემთხვევაში აქვთ მატერიალური უზრუნველყოფის უფლება.

სსრ კავშირის კონსტიტუციიდან.

(დასასრული)

კითხვა: მოხუცებულობის პენსიის დასანიშნად მივმართე სოცუზრუნველყოფის განყოფილებას და სხვა საბუთებთან ერთად წარვუდგინე პასპორტი, განყოფილებამ ასაკის დასადასტურებლად დამატებით მომთხოვა დაბადების მოწმობა, რაც ხელზე არ მქონდა, საარქივო დაწესებულებიდან დაბადების მოწმობის მიღებას დასჭირდა რამდენიმე თვე, რის გამოც საგრძნობლად გაჭიანურდა ჩემთვის პენსიის დანიშვნა. სწორია თუ არა სოცუზრუნველყოფის განყოფილება, რომელიც ასაკის დამადასტურებელ საბუთად დამატებით დაბადების მოწმობას მოითხოვს?

პასუხი: პიროვნების, ასაკისა და საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი დოკუმენტია პასპორტი. დამატებით დაბადების მოწმობის ან საცხოვრებელი ადგილიდან ცნობის წარმოდგენა კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, სოცუზრუნველყოფის ორგანოებს უფლება აქვთ შეამოწმონ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძვლიანობა. თუ დაბადების მოწმობის მოთხოვნა აუცილებლობით იყო გამოწვეული (დოკუმენტებში თუ სხვადასხვა ასაკი გეწერათ, ან პასპორტსა და სტაჟის დამადასტურებელ საბუთებში სხვადასხვა გვარი იყო მითითებული და ქორწინების მოწმობა ან სხვა საჭირო დოკუმენტი ვერ წარადგინეთ და ა. შ.), ასეთ შემთხვევაში სოცუზრუნველყოფის განყოფილების მოქმედება კანონზომიერია.

კითხვა: მოხუცებულობის პენსიის დასანიშნად სამუშაო ადგილიდან წარმადგენეს 2 თვისა და 20 დღის დაგვიანებით. სოცუზრუნველყოფის განყოფილებამ პენსია დამინიშნა საბუთების წარდგენის დღიდან. რამდენად სწორია პენსიების დანიშვნელი კომისიის გადაწყვეტილება და ვინ უნდა ამინაზღაუროს 2 თვისა და 20 დღის პენსია?

პასუხი: მოხუცებულობის პენსია ინიშნება პენსიაზე მიმართვის დღიდან. მიმართვის დღედ კი ითვლება სოციუზრუნველყოფის განყოფილების მიერ წარდგენებისა და საჭირო საბუთების მიღების დღე. ამდენად კომისიის გადაწყვეტილება თქვენს მიმართ სწორია.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 458 მუხლის შესაბამისად თქვენ უფლება გაქვთ მიმართოთ სახალხო სასამართლოს და მოითხოვთ მიყენებული ზარალის ანაზღაურება 2 თვისა და 20 დღის პენსიის ოდენობით იმ ორგანიზაციიდან, რომელმაც თქვენ დაგვიანებით წარგადგინათ პენსიაზე.

კითხვა: საერთო დაავადების I ჯგუფის ინვალიდობით პენსიის დასანიშნად სოცუზრუნველყოფის განყოფილებას მივმართე გასული წლის 27 ნოემბერს და წარვუდგინე საჭირო საბუთები. 24 დეკემბერს განყოფილებამ მაცნობა, რომ შრომის სტაჟი არასაკმარისია და საჭიროა დამატებით სტაჟის საბუთების წარდგენა, დამატებითი საბუთები, რომლითაც მე სამირო სტაჟი შემიგროვდა, წარვადგინე მ/წლის 21 მარტს და პენსიაც ამ რიცხვიდან დამინიშნა. რამდენად სწორია პენსიების დამნიშვნელი კომისიის გადაწყვეტილება?

პასუხი: კომისიის გადაწყვეტილება სწორი არ არის, ვინაიდან პენსიის დასანიშნად საჭირო უკანასკნელი აუცილებელი საბუთი წარადგინეთ 3 თვის განმავლობაში იმ დღიდან, როცა მიიღეთ შეტყობინება დამატებით საბუთების წარდგენის აუცილებლობაზე, პენსიაზე მიმართვის დღედ ჩაითვლება სოციუზრუნველყოფის განყოფილებაში განცხადების შეტანის დღე და პენსიაც ამ თარიღიდან, ე. ი. 27 ნოემბრიდან უნდა დაგენიშნოთ.

თუ ინვალიდობის ჯგუფი საავადმყოფო ფურცელზე ყოფნის დროს დაგიდგენდებათ და 3 თვის განმავლობაში მიმართეთ (განცხადებით და საბუთებით) სოცუზრუნველყოფის განყოფილებას პენსიის დასანიშნად, ასეთ შემთხვევაში პენსია დაგენიშნებათ ინვალიდობის ჯგუფის დადგენის დღიდან.

შრომის სტაჟის გამოანგარიშება

კითხვა: შემისრულდა სპენსიო ასაკი, მეკუთვნის თუ არა სახელმწიფო პენსია?

პასუხი: სახელმწიფო პენსია დაგენიშნებათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პენსიის დასანიშნად საჭირო ასაკთან ერთად გაქვთ მუშად ან მოსამსახურედ მუშაობის კანონით განსაზღვრული ოდენობის შრომის სტაჟი.

კითხვა: მაქვს სახელმწიფო საწარმოებსა და დაწესებულებებში მუშაობის 17, ხოლო კოლმეურნეობაში მუშაობის 9 წლის შრომის სტაჟი. ჩამეთვლება თუ არა სახელმწიფო პენსიის დასანიშნად საჭირო შრომის სტაჟში კოლმეურნეობაში მუშაობის პერიოდი და დამენიშნება თუ არა სახელმწიფო პენსია?

პასუხი: კოლმეურნეობაში მუშაობის სტაჟი, კანონით დადგენილი შემთხვევების გარდა, არ ჩაითვლება სახელმწიფო პენსიის დასანიშნად საჭირო შრომის სტაჟში. ასეთი ვითარებაში, როცა მოქალაქეს აქვს შერეული სტაჟი, დაენიშნება საკოლმეურნეო პენსია ან სახელმწიფო პენსია არასრული სტაჟით, ესე იგი მხოლოდ იმ სტაჟის მიხედვით, რაც მას ნამუშევარი აქვს მუშად ან მოსამსახურედ. ამასთან არასრული სტაჟით პენსია დაინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეს აქვს საამისოდ კანონით გათვალისწინებული პირობები.

კითხვა: ვუვალი სამამულო ომის I ჯგუფის ინვალიდს. ჩამეთვლება თუ არა მოვლის პერიოდი საერთო სტაჟში და რა წესით?

პასუხი: საერთო შრომის სტაჟში ჩაითვლება სამამულო ომის I ჯგუფის ინვალიდების მოვლის დრო, აგრეთვე იმ I ჯგუფის ინვალიდების მოვლის დრო, რომლებიც გათანაბრებული არიან სამამულო ომის ინვალიდებთან.

ამასთან ინვალიდის მოვლის დრო სტაჟში ჩაითვლება იმის მიუხედავად, მუშაობდა თუ არა ინვალიდი ან რა ნათესაური კავშირშია მომვლელი ინვალიდთან.

იმისათვის, რომ I ჯგუფის ინვალიდის მოვლის დრო ჩაითვალოს შრომის სტაჟში დაინტერესებულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ (საქალაქო) განყოფილებას.

ომის I ჯგუფის ინვალიდის მოვლის დრო საერთო შრომის სტაჟში ჩაითვლება მხოლოდ სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილების საფუძველზე.

კითხვა: რას ნიშნავს შრომის უწყვეტი სტაჟი და რა წესით გამოიანგარიშება იგი?

პასუხი: შრომის უწყვეტი სტაჟი არის ამა თუ იმ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში მუშა-მოსამსახურის უწყვეტად მუშაობის ხანგრძლივობა.

კანონით დადგენილ შემთხვევებში შრომის უწყვეტი სტაჟი მუშა-მოსამსახურეებს შეუნარჩუნდებათ მაშინაც, როცა ისინი ერთი სამუშაოდან გადავიდნენ მეორეზე.

პენსიაზე დანამატის დასარიცხად შრომის უწყვეტი სტაჟის გამოანგარიშება წარმოებს იმავე წესით, რომელიც დადგენილია სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით დახმარების დანიშვნის დროს მუშა-მოსამსახურეების უწყვეტი მუშაობის სტაჟის გამოანგარიშებისათვის (ეს წესები დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 13 აპრილის № 252 დადგენილებით).

კითხვა: რა დოკუმენტები უნდა წარადგინოს მუშა-მოსამსახურემ იმის დასამტკიცებლად, რომ მას აქვს პენსიის დასანიშნად საჭირო შრომის სტაჟი?

პასუხი: შრომის სტაჟის დამამტკიცებელი საბუთებია:

შრომის წიგნაკები, შრომის სიები, ნამსახურობის სიები, სამუშაო ადგილიდან გაცემული ცნობები, მოწმობები, აგრეთვე იმ სისტემის ზემდგომი ორგანოების მიერ გაცემული ცნობები, რომლებშიც მუშაკი მუშაობდა, საარქივო დაწესებულებათა ცნობები და ა. შ.

კითხვა: პენსიის დასანიშნად შეიძლება თუ არა წარდგენილ იქნეს როგორც ძველი ნიმუშის — 1938 წლის, ასევე ახალი ნიმუშის — 1975 წლის შრომის წიგნაკი?

პასუხი: იმათ, ვინც მუშა-მოსამსახურედ მუშაობა პირველად დაიწყეს 1975 წლის 1 იანვრის შემდეგ, პენსიის დასანიშნად სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებას უნდა წარუდგინონ ახალი ნიმუშის (სერიისა და ნომრის მქონე) შრომის წიგნაკი, ხოლო იმათ, ვინც მუშაობა 1975 წლის პირველ იანვრამდე დაიწყეს, შეუძლიათ წარადგინონ ძველი ნიმუშის შრომის წიგნაკი, ოღონდ, როგორც ადრე მოქმედ, ისე ახალი ნიმუშის შრომის წიგნაკებში 1975 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ ჩამატებული ჩანართი ფურცელი უნდა იყოს ახალი ნიმუშისა.

კითხვა: დავკარგე შრომის წიგნაკი, ვის უნდა მივმართო?

პასუხი: თუ მუშაკმა დაკარგა შრომის წიგნაკი (ჩანართი ფურცელი), მოვალეა განცხადებით მიმართოს ბოლო სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას, რომელიც არა უგვიანეს 15 დღისა გასცემს სხვა შრომის წიგნაკს (ჩანართ ფურცელს) წარწერით „დუბლიკატი“.

კითხვა: მაქვს დოკუმენტებით დადასტურებული 15 წლის შრომის სტაჟი. ვმუშაობდი სხვადასხვა საწარმოსა და დაწესებულებაში, რომლის საბუთები არ გამაჩნია. რა წესით შეიძლება დავადგინო პენსიის დასანიშნად საჭირო დანაკლისი შრომის სტაჟი?

პასუხი: თუ არა გაქვთ შრომის სტაჟის დამადასტურებელი საბუთები და მათი მიღება შეუძლებელია საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის გამო, ან იმის გამო, რომ არ არსებობს საარქივო მონაცემები, პენსიის დასანიშნად საჭირო დანაკლის შრომის სტაჟს დაადგენენ პენსიების დამნიშვნელი კომისიები ორი ან მეტი მოწმის ჩვენების საფუძველზე.

მოწმეთა ჩვენებით დანაკლისი შრომის სტაჟის დადგენა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პენსიის დასანიშნად საჭირო სტაჟის სულ ცოტა ნახევარი დადასტურებულია დოკუმენტებით.

ამასთან ერთად კანონი მოითხოვს, რომ ერთ-ერთი მოწმე უნდა იყოს ისეთი, რომელიც განმცხადებელთან ერთად იმავე პერიოდში მუშაობდა იმ საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში, რომლის დადასტურებასაც ითხოვს განმცხადებელი და უნდა შეეძლოს ამის დამამტკიცებელი საბუთის წარმოდგენა.

თუ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის არქივი მთლიანად დაცულია, მაგრამ არ არის ცნობები განმცხადებლის მუშაობის შესახებ, პენსიების დამნიშვნელ კომისიას არა აქვს უფლება მოწმეთა ჩვენებით დაადგინოს შრომის სტაჟი.

მოწმეთა ჩვენებით არ შეიძლება დადგინდეს აგრეთვე:

— პენსიის დასანიშნად საჭირო მთლიანი სტაჟი;

— პენსიის დანამატის დასარიცხად შრომის უწყვეტი ან საერთო სტაჟი;

—პენსიის გამოსაანგარიშებლად საშუალო ხელფასის ოდენობა.

პენსიის გამოანგარიშება

კითხვა: როგორ გამოიანგარიშება მუშების, მოსამსახურეებისა და სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მუშებად ან მოსამსახურეებად მომუშავე სამხედრო მოსამსახურეთა პენსია?

პასუხი: მუშების, მოსამსახურეებისა და სამხედრო სამსახურში გაწვევამდე მუშებად ან მოსამსახურეებად მომუშავე სამხედრო მოსამსახურეების პენსია იანგარიშება დადგენილი ნორმების შესაბამისად, იმ ფაქტობრივი საშუალო თვიური გამომუშავების პროცენტობით, რომელსაც იღებდნენ პენსიის დასანიშნად მიმართვამდე, ხოლო სამხედრო მოსამსახურეები — სამხედრო სამსახურში გაწვევამდე ან იმ გამომუშავებიდან, რომელსაც იღებდნენ პენსიის დასანიშნად მომართვის წინ.

კითხვა: როგორ გამოუანგარიშდება პენსია იმ მუშაკს, რომელსაც მომართვამდე არა აქვს ნამუშევარი 12 სრული თვე?

პასუხი: სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულების 122-ე პუნქტის შესაბამისად, თუ პენსიის მოსოვნელს მუშაობის შეწყვეტამდე (მომუშავეს კი პენსიის მოთხოვნამდე) უკანასკნელი ორი წლის მანძილზე არ უმუშავია საერთო ანგარიშით 12 სრული თვე, მისი სურვილით პენსია შეიძლება გამოუანგარიშდეს ფაქტობრივად ნამუშევარი ყველა სრული თვის საშუალო გამომუშავებიდან.

კითხვა: როგორ გამოუნგარიშდება პენსია იმ მუშაკს, რომელიც ძირითად თანამდებობაზე არ იღებდა მთლიან თანამდებობრივ სარგოს (განაკვეთს) და იმავე ან სხვა ორგანიზაციაში ასრულებდა სხვა სამუშაოს?

პასუხი: სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულების 124-ე პუნქტის შესაბამისად, თუ მუშაკი ძირითად თანამდებობაზე არ იღებდა მთლიან თანამდებობრივ სარგოს (განაკვეთს) და იმავე ან სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში ასრულებდა სხვა სამუშაოს, პენსია გამოუნგარიშდება ყველა სამუშაო ადგილზე მიღებული საერთო გამომუშავებიდან, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ძირითად თანამდებობის მთლიან თანამდებობრივ სარგოს (განაკვეთს).

კითხვა: ჩაითვლება თუ არა პენსიის გამოსაანგარიშებელ ხელფასში სამუშაოდან განთავისუფლების შემთხვევაში მიღებული გამოუყენებელი შვებულების კომპენსაცია?

პასუხი: გამოუყენებელი შვებულების კომპენსაცია (განთავისუფლებისას მიღებული) არის ერთდროული ხასიათის ანაზღაურება, ამიტომ პენსიის გამოსაანგარიშებელ ხელფასში არ ჩაითვლება.

კითხვა: დაემატება თუ არა პენსიის გამოსაანგარიშებლად საჭირო საშუალო თვიურ გამომუშავებას მიღონების თანხები და სხვა სახის ერთდროული ხასიათის გასამრჯელოები?

პასუხი: არ დაემატება.

კითხვა: ჩაითვლება თუ არა პენსიის გამოსაანგარიშებელ თანხაში ერთდროული ხასიათის პრემიები და დახმარებანი?

პასუხი: არ ჩაითვლება.

კითხვა: ჩაითვლება თუ არა პენსიის გამოსაანგარიშებელ თანხაში გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მიღებული პრემია?

პასუხი: პენსიის გამოანგარიშების დროს მხედველობაში მიიღება შრომის ანაზღაურების პრემიალური სისტემით გათვალისწინებული ყველა სახის პრემია, რომელსაც ერიცხება სოციალური დაზღვევა. გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის გაცემული პრემია ჩაითვლება პენსიის გამოსაანგარიშებელ თანხაში.

კითხვა: აქვს თუ არა მუშა-მოსამსახურეს დანიშნული პენსიის გადაანგარიშების უფლება?

პასუხი: პენსიონერებს მუშათა, მოსამსახურეთა და სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, მოსამსახურეთა და სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, რომლებმაც პენსიის დანიშვნის შემდეგ მუშებად ან მოსამსახურეებად იმუშავეს სულ ცოტა 2 წელი და უფრო მეტი გამომუშავება აქვთ ან გამომუშავებასთან შედარებით, საიდანაც გამოუნგარიშდათ პენსია, უფლება აქვთ მოითხოვონ პენსიის გადაანგარიშება ამ უფრო დიდი გამომუშავების მიხედვით.

კითხვა: ჩაითვლება თუ არა სკოლების, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების მასწავლებელთა საშუალო თვიურ ხელფასში ანაზღაურება, რომელიც მათ ეძლევათ იმავე სკოლაში წრეების ხელმძღვანელობისა და სხვა პედაგოგიური მოღვაწეობისათვის?

პასუხი: სკოლების, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლო დაწესებულებების მასწავლებელთა სხვა პედაგოგიური მოღვაწეობა და წრეების ხელმძღვანელობა არ ითვლება შეთავსებად იმ შემთხვევაშიც კი, როცა ის სრულდება საშტატო ერთეულის დაკავებით. ამიტომ ხელფასი, რომელიც სკოლის მასწავლებელს მიღებული აქვს უფროს პიონერხელმძღვანელად ან იმავე სკოლაში გახანგრძლივებული ჯგუფის აღმზრდელად მუშაობისათვის, ხოლო სკოლა-ინტერნატის მასწავლებელს — იქვე აღმზრდელის მოვალეობის შესრულებისათვის, ჩაითვლება პენსიის გამოსაანგარიშებელ (ხელფასში) თანხაში.

როგორ გაიცემა პენსია

კითხვა: როგორ გაიცემა პენსია არამომუშავე პენსიონერებზე?

პასუხი: არამომუშავე პენსიონერებს პენსია ეძლევათ მიმდინარე თვეში ბინაზე კავშირგაბმულობის მეშვეობით, რის ხარჯებსაც სახელმწიფო იხდის. მათვე კუთვნილი პენსია შეუძლიათ მიიღონ შემნახველი სალაროს მეშვეობით.

პენსიის შემნახველ სალაროში გადარიცხვის შესახებ განცხადება პენსიონერმა ყოველწლიურად უნდა შეიტანოს სოციალური უზრუნველყოფის ორგანოში, წინაღმდეგ შემთხვევაში პენსია გაეგზავნება კავშირგაბმულობის საშუალებით.

კითხვა: როგორი წესით ეძლევა პენსია მომუშავე პენსიონერს?

პასუხი: მომუშავე პენსიონერს კუთვნილი პენსია ეძლევა სამუშაო ადგილზე სოციალური უზრუნველყოფის ორგანოს მიერ გაცემული დავალების (ფორმა № 25) საფუძველზე თვის მეორე ნახევრის ხელფასთან ერთად.

კითხვა: შეიძლება თუ არა პენსიონერი მუშაობდეს და პენსია ეძლეოდეს არა სამუშაო ადგილზე, არამედ კავშირგაბმულობის ან შემნახველი სალაროს მეშვეობით?

პასუხი: მუშაობის მიუხედავად პენსია კავშირგაბმულობისა და შემნახველი სალაროს მეშვეობით ეძლევათ მხოლოდ I და II ჯგუფის ინვალიდებს სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვიდან, მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრებს და აგრეთვე დანარჩენ პენსიონერებს, რომლებიც ისეთ საწარმოებსა და ორგანიზაციებში (სპეციალური კავშირგაბმულობისა და გასამხედროებული დაცვის ორგანოები) მუშაობენ, სადაც სოცდაზღვევის ანარიცხები არა აქვთ.

კითხვა: თუ პენსიონერი გარდაიცვალა და მიუღებელი დარჩა გარკვეული პერიოდის პენსია, მიეცემა თუ არა იგი მემკვიდრეს?

პასუხი: პენსიის თანხები, რომლებიც პენსიონერს ეკუთვნოდა და მიუღებელი დარჩა გარდაცვალების გამო, არ შედის მემკვიდრეობის შემადგენლობაში და მიეცემა ოჯახის იმ წევრებს, რომელთაც შეიძლება დაენიშნოთ პენსია მისი გარდაცვალების გამო. ეს თანხა მშობელს და მეუღლეს ეძლევა მიუხედავად იმისა, არის თუ არა შრომისუნარმოკლებული და იმყოფებოდა თუ არ გარდაცვლილის კმაყოფაზე.

კითხვა: როგორი წესით ხდება გასული პერიოდის პენსიის გაცემა, რომელიც პენსიონერმა ვერ მიიღო თავისი მიზეზით?

პასუხი: პენსიის დარიცხული თანხები, რომელიც თავის დროზე ვერ მიიღო პენსიონერმა თავისი მიზეზით, გაიცემა გასული პერიოდისათვის, მაგრამ არა უმეტეს სამი წლისა. ამასთან 12 თვის პენსია გაიცემა ერთდროულად, ხოლო დანარჩენი ყოველთვიურად არა უმეტეს ერთი თვის პენსიის ოდენობით.

კითხვა: როგორია სამამულო ომის III ჯგუფის ინვალიდებზე პენსიის გაცემის წესი მუშაობის პერიოდში?

პასუხი: სამამულო ომის III ჯგუფის ინვალიდებს, რომლებიც ინვალიდობის პენსიას იღებენ მუშაობის პერიოდში, პენსია მიეცემათ ისეთი ოდენობით, რომ ხელფასთან ერთად არ აჭარბებდეს იმ გამომუშავებას, საიდანაც პენსია გამოუნგარიშდათ. ამასთან, თუ პენსია და ხელფასი 300 მანეთს არ აღემატება, პენსია მიეცემათ სრულად, მაგრამ ყველა შემთხვევაში გასაცემი პენსია არ შეიძლება იყოს მინიმალურ ოდენობაზე (40 მანეთზე) ნაკლები.

კითხვა: როგორ მიეცემათ პენსია საერთო დაავადებით დაინვალიდებულ მესამე ჯგუფის ინვალიდებს მუშაობის პერიოდში.

პასუხი: მათ პენსია მიეცემათ ხელფასის მხედველობაში მიღებით, ისეთი ოდენობით, რომ პენსიისა და ხელფასის ჯამი ერთად აღებული არ აჭარბებდეს იმ ხელფასს, საიდანაც პენსია აქვთ გამოანგარიშებული, მაგრამ თუ გადაჭარბებს, შესაბამისად შემცირდება გასაცემი პენსიის ოდენობა. ამასთან თუ ხელფასი 120 მანეთს არ აღემატება, ყველა შემთხვევაში გაიცემა დანიშნული პენსიის არანაკლები 50 პროცენტი.

ამ სურათზე აღბეჭდილია პანსიონატის შენობის ერთ-ერთი კუთხე.

ხ. კილაძის ფოტო.

კითხვა: როგორ მიეცემა მოხუცებულობის პენსია მუშაობის პერიოდში სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელს?

პასუხი: სამრეწველო საწარმოს ხელმძღვანელი (დირექტორი, უფროსი, მმართველი...) განეკუთვნება ინჟინერ-ტექნიკურ პირთა კატეგორიას და ამიტომ მუშაობის პერიოდში ეკუთვნის დანიშნული პენსიის 50 პროცენტი იმ ანგარიშით, რომ პენსიისა და ხელფასის ჯამი არ აღემატებოდეს 300 მანეთს.

კითხვა: რა წესით მიეცემა მოხუცებულობის პენსია იმ პირებს, რომლებიც განეკუთვნებიან მოსამსახურეთა კატეგორიას?

პასუხი: იმ პირებს, რომლებიც მოსამსახურეთა კატეგორიას განეკუთვნებიან, მოხუცებულობის პენსია ხელფასთან ერთად მიეცემათ მხოლოდ 150 მანეთის ფარგლებში.

კითხვა: პენსიის გაცემის დროს პრემია რომელი თვის ხელფასთან ერთად მიიღება მხედველობაში?

პასუხი: პრემია მხედველობაში მიიღება იმ თვის ხელფასთან ერთად, რომელშიც ფაქტობრივად არის გაცემული.

შეღავათები სამამულო ომის ინვალიდებსა და სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს

კითხვა: ვარ სამამულო ომის მონაწილე, ამჟამად შრომის II ჯგუფის ინვალიდი. მაქვს თუ არა ქალაქის ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის უფლება?

პასუხი: მოქმედი კანონმდებლობით სამამულო ომის მონაწილეებისათვის ქალაქის ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობა გათვალისწინებული არ არის.

კითხვა: ვარ სამამულო ომის მონაწილე, დანიშნული მაქვს მოხუცებულობის პენსია. რა შეღავათებით შემიძლია ვისარგებლო?

პასუხი: სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1984 წლის 26 ივლისის № 812 დადგენილებით, სამამულო ომის მონაწილეები ექმნის რეცეპტით შეძენილი წამლების ღირებულებას იხდიან 50 პროცენტის ოდენობით. ასევე უფლება აქვთ, როგორც მებაღეობის ამხანაგობათა წევრებმა, მიიღონ უპროცენტო სესხი საბაღე სახლების შენების ან მშენებლობისათვის და საბაღე ნაკვეთების კეთილმოსაწყობად.

კითხვა: დიდ სამამულო ომში დამეღუპა მეუღლე. ვარ 65 წლის, ვდებულობ მოხუცებულობის პენსიას, მყავს ბავშვობიდან ინვალიდი შვილი, რომელიც მამის სამამულო ომში დაღუპვის გამო ღებულობს პენსიას, გვაქვს თუ არა შეღავათებით სარგებლობის უფლება?

პასუხი: ოჯახები, რომლებიც სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის გამო მარჩენალდაკარგულის პენსიას იღებენ, გათბობით, წყალგაყვანილობით, გაზით და ელექტროენერგიით სარგებლობისათვის იხდიან დაწესებული ფასის 50 პროცენტს. ამასთან ზემდგომი ორგანოების დადგენილებით ომში დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებს, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ სახლებში, სადაც ცენტრალური გათბობა არ არის, სათბობი, დადგენილი ნორმების ფარგლებში, ეძლევათ 50 პროცენტის ფასდაკლებით.

კითხვა: ჩემი მეუღლე იყო სამამულო ომის მონაწილე, შემდგომ შრომის III ჯგუფის ინვალიდი, გარდაიცვალა 1985 წელს. ვიღებ საკოლმეურნეო პენსიას. მაქვს თუ არა უფლება ვისარგებლო მეუღლის გარდაცვალების გამო რაიმე შეღავათით?

პასუხი: სამამულო ომის მონაწილეების გარდაცვალების შემდეგ, რომლებიც ცნობილი იყვნენ ინვალიდებად საერთო დაავადებით ან შრომითი დასახიჩრების შედეგად, მათს მეუღლეებს უნარჩუნდებათ საცხოვრებელი ფართობისა და კომუნალური მომსახურების ღირებულების გადახდის შეღავათები 50 პროცენტით.

კითხვა: ვარ სამამულო ომის მონაწილე, შრომის II ჯგუფის ინვალიდი, ნაღდ ანგარიშზე შევიძინე მსუბუქი ავტომანქანა. მეკუთვნის თუ არა ბენზინის კომპენსაცია?

პასუხი: მოქმედი კანონმდებლობით სამამულო ომის მონაწილეებისათვის ბენზინის, რემონტისა და ტექმომსახურების კომპენსაციის გაცემა გათვალისწინებული არ არის.

კითხვა: ვარ სამამულო ომის II ჯგუფის ინვალიდი. ნაღდ ანგარიშზე შეძენილი მაქვს მსუბუქი ავტომანქანა „ჟიგული“, რომელსაც მინდობილობით მართავს ჩემს მეზობლად მცხოვრები შვილი, მეკუთვნის თუ არა ბენზინის კომპენსაცია?

პასუხი: სამამულო ომის პირველი, მეორე ჯგუფის ინვალიდებს, რომელთაც პირად საკუთრებაში აქვთ ავტომობილები, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლიათ მათი მართვა, კომპენსაცია ეძლევათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ავტომობილს მისი მომსახურებისათვის მართავს მუდმივად მასთან მცხოვრები ოჯახის წევრი.

კითხვა: ვარ სამამულო ომის მონაწილე. მაქვს თუ არა ბინაში ტელეფონის ურიგოდ დადგმის უფლება?

პასუხი: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 15 იანვრის № 54 დადგენილებით 1985 წლის პირველი მაისიდან სამამულო ომის მონაწილეებს მიეცათ კავშირგაბმულობის ყველა სახის ურიგოდ მომსახურების, მათ შორის ბინაში ურიგოდ ტელეფონის დადგმის უფლება.

კითხვა: ვღებულობ სახელმწიფო დახმარებას, როგორც მრავალშვილიანი დედა, მე-6 შვილზე. გარდამეცვალა მეუღლე. მარჩენლის დაკარგვის გამო 3 მცირეწლოვან შვილზე დამენიშნა პენსია. კიდევ გამიგრძელდება თუ არა დახმარება?

პასუხი: მრავალშვილიან დედებს სახელმწიფო დახმარება ეძლევათ მამის გარდაცვალების გამო ბავშვებისათვის პენსიის დანიშვნისა და სხვა სახის დახმარების მიღების მიუხედავად.

კითხვა: არარეგისტრირებული ქორწინებიდან მყავს ერთი 4 თვის ბავშვი, რომელიც დაბადების რეგისტრაციაში გატარებულია ჩემს გვარზე. ბავშვის მამასთან ერთად ვცხოვრობ, მაგრამ ქორწინებაში არ ვიმყოფები, ვინაიდან იგი პირველ ცოლთან არ არის განქორწინებული.

მაქვს თუ არა უფლება მივიღო სახელმწიფო დახმარება როგორც მარტოხელა დედამ?

პასუხი: არა. ქალს, რომელიც არ იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში იმ პირთან, რომლისგანაც ჰყავს ბავშვი, მაგრამ ერთად ცხოვრობს ბავშვის მამასთან, აქვს მასთან საერთო მეურნეობა და ერთად ზრდის ბავშვს, მარტოხელა დედებისათვის გათვალისწინებული სახელმწიფო დახმარება არ ეკუთვნის.

კითხვა: ქორწინებაში არავისთან არ ვყოფილვარ. ვარ მარტოხელა. შვილად ავიყვანე 1 წლის ბავშვი. როგორც მარტოხელა დედას მაქვს თუ არა სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება?

პასუხი: ქალი, რომელიც არ იმყოფება ქორწინებაში და მის მიერ შვილად აყვანილი ბავშვის დედად არის ჩაწერილი დაბადების სარეგისტრაციო წიგნში, უფლებას იპოვებს მიიღოს სახელმწიფო დახმარება, როგორც მარტოხელა დედამ, საერთო წესით, მაგრამ არა უადრეს იმ თვისა, რომელშიც იგი ბავშვის დედად არის ჩაწერილი.

მარტოხელა დედას 1 ბავშვზე 16 წლის ასაკამდე ყოველთვიური დახმარება ენიშნება 20 მანეთამდე ოდენობით. თუ ბავშვი სწავლობს, დახმარების გაცემა გაუგრძელდება 18 წლის ასაკის შესრულებამდე.

კითხვა: გარდამეცვალა ქალიშვილი. რომელიც ღებულობდა ერთ ბავშვზე სახელმწიფო დახმარებას როგორც მარტოხელა დედა. ჩემი ქალიშვილი იყო მოსამსახურე, ამიტომ მის შვილს დედის გარდაცვალების გამო დაენიშნა პენსია. მე, როგორც ბავშვის მეურვეს, გამიგრძელდება თუ არა სახელმწიფო დახმარების გაცემა 20 მანეთის ოდენობით, რომელსაც ბავშვის დედა ღებულობდა?

პასუხი: მარტოხელა დედის გარდაცვალების შემთხვევაში, თუ მის ბავშვს დაენიშნა პენსია დედის გარდაცვალების გამო, ბავშვის მეურვეს მიეცემა როგორც პენსია, ასევე ყოველთვიური სახელმწიფო დახმარება.

კითხვა: მე და ჩემი მეუღლე ვართ მოსამსახურეები. გვაქვს მცირე ხელფასი. გვყავს 3 მცირეწლოვანი შვილი. გვეკუთვნის თუ არა რაიმე დახმარება?

პასუხი: ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებისათვის დახმარება დაენიშნებათ იმ ოჯახებს, რომელთა საშუალო ერთობლივი შემოსავალი ოჯახის ერთ წევრზე არ აღემატება 50 მანეთს თვეში.

დახმარება ენიშნებათ და ეძლევათ თვეში 12 მანეთის ოდენობით თითოეულ ბავშვზე 8 წლის ასაკის მიღწევამდე.

კითხვა: გარდამეცვალა მეუღლე, დამრჩა 2 მოსწავლე შვილი. მათთვის პენსიის დანიშვნაზე უარი მითხრეს იმ მიზეზით, რომ მეუღლეს საკმარისი სტაჟი არ ჰქონდა.

მეკუთვნის თუ არა ბავშვისათვის პენსია ან რაიმე დახმარება?

პასუხი: ქვრივ ქალებს, რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილები და არ იღებენ მათთვის პენსიას მარჩენლის დაკარგვის გამო, თითოეულ ბავშვზე 16 წლის ასაკამდე დაენიშნებათ და ყოველთვიურად მიეცემათ 20 მანეთი, თუ ბავშვები სწავლობენ, დახმარებას მიიღებენ 18 წლამდე.

კითხვა: ჩემი მეუღლე [illegible] სამამულო ომში. არის ვადიანი სამსახურის სერჟანტი. [illegible] ბავშვი. რა სახის დახმარება მეკუთვნის ბავშვზე, რა ოდენობისა და როგორი [illegible]

პასუხი: ვადიანი სამსახურის რიგითთა, მეტრესთა, სერჟანტთა და ზემდგომთა ბავშვებს ენიშნებათ და ეძლევათ ყოველთვიური დახმარება 35 მანეთის ოდენობით.

თუ თქვენ არ მუშაობთ და არც სწავლობთ, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებიდან მოგეცემათ აგრეთვე ერთდროული დახმარება პირველი ბავშვის შეძენის გამო 30 მანეთი.

კითხვა: მყავს 3 არასრულწლოვანი შვილი. მეუღლემ მიმატ

შეხვედრები კრემლში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შეხვდა ო. ლაფონტენს

ო. ლაფონტენი: ჩვენი აზრით, მთავრობათა მეული მეცადინეობა ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებში მიზნად უნდა ისახავდეს დაძაბულობის შენელების მიღწევას.

ა. ა. გრომიკო: კარგი მიზანია!

ამ აზრთა გაზიარებით დაიწყო 21 მაისს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ა. ა. გრომიკოს და საარის მთავრის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) პრემიერ-მინისტრის, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის წევრის ოსკარ ლაფონტენის შეხვედრა.

ა. ა. გრომიკომ დაწვრილებით ჩამოაყალიბა საბჭოთა თვალსაზრისი ბირთვული იარაღის გამოცდების შეწყვეტის პრობლემად. ეს პრობლემა გასაგებია ყველასათვის, არასპეციალისტისთვისაც კი. მიუხედავად იმისა, რომ სსრ კავშირმა ამა წლის 6 აგვისტომდე გააგრძელა ბირთვულ აფეთქებათა მორატორიუმი, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია უცნაური ფანატიკურობით მოითხოვს ბირთვული იარაღის გამოცდების მოწყობას და კიდეც აწყობს მათ.

საბჭოთა კავშირს მიაჩნია, რომ ასეთი გამოცდების შეწყვეტა იმ ღონისძიებათა ჯაჭვის მნიშვნელოვანი რგოლი იქნებოდა, რომლებიც გააადვილებდა უფრო რადიკალურ გადაწყვეტილებათა მიღებას. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ თავისი გადაწყვეტილ სიტყვა რომ თქვას ბირთვული გამოცდების შეწყვეტის სასარგებლოდ, ამით დიდ წვლილს შეტანდა დაძაბულობის შენელებასა და ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის გზით წინსვლაში. მაგრამ იგი ასეთ სიტყვას არ ამბობს.

თანამოსაუბრეთა ერთსულოვანი აზრით, ბირთვული გამოცდების შეწყვეტა დღევანდელობის პრიორიტეტული მიზანია. ამავე დროს ო. ლაფონტენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი ბირთვული ენერგიის ყოველგვარი გამოყენების წინააღმდეგია.

ამის პასუხად ა. ა. გრომიკომ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად იბრძვის ბირთვული ენერგიის სამხედრო მიზნით გამოყენების წინააღმდეგ. ამის დასტურია მიმდინარე საუკუნეს დამლევამდე ბირთვული იარაღის მოსპობის ფართო მასშტაბის პროგრამა, რომელიც მ. ს. გორბაჩოვის 1986 წლის 15 იანვრის განცხადებაშია ჩამოყალიბებული და დადასტურებულია სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებით. რაც შეეხება ბირთვული ენერგიის მშვიდობიან გამოყენებას, აქ ანგარიში უნდა გავუწიოთ რეალობას. „მშვიდობიანი ატომი“ ხომ უკვე გახდა ბევრ ქვეყანაში მრეწველობის მძლავრი დარგი.

ორივე მხარემ გამოთქვა საერთო აზრი, რომ უნდა შეიმუშავონ საერთაშორისო შეთანხმებანი, რათა უზრუნველყონ უშიშროება ბირთვული ენერგეტიკის განვითარებაში, ამასთან ამ საქმეში ჩაბმან რაც შეიძლება მეტი სახელმწიფო. ამას მოგვიწოდებს ჩერნობილში მომხდარი შემთხვევა, ამას მოითხოვენ ახლა საერთაშორისო საზოგადოებრიობის ფართო წრეები. ასეთი თვალსაზრისი გასაგებია მილიონობით ადამიანისათვის.

ო. ლაფონტენმა კარგი უწოდა სსრ კავშირის წინადადებებს ბირთვული გამოცდების შეწყვეტის თაობაზე. ჩვენ ყოველთვის მხარს დავუჭერთ მათ, განაცხადა მან და დაადასტურა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის უარყოფითი პოზიცია ამერიკის სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამისა და გამალებული ქმიური შეიარაღების გეგმებისადმი.

მხარეებმა გამოთქვეს სურვილი და მისწრაფება გაფაფართოონ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობა მოსკოვის 1970 წლის ხელშეკრულების ბაზაზე. ასეთი თანამშრომლობის ნაყოფიერება დადასტურდა წარსულში, იგრძნობა ახლა და ახალი ძალით შეიძლება გამოვლინდეს მომავალში, თუ ამას ორივე მხარე ეცდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შეხვდა ფ. გონსალესს

20 მაისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ა. გრომიკომ კრემლში მიიღო ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარე ფელიპე გონსალესი და მისი თანმხლები პირნი.

ფ. გონსალესმა აღნიშნა, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გულახდილმა, შინაარსიანმა საუბარმა მ. ს. გორბაჩოვთან შეხვედრის დროს.

ურთიერთმორიგების საფუძველზე ა. ა. გრომიკომ და ფ. გონსალესმა ყურადღება მიაპყრეს საერთაშორისო პრობლემებს: საელმწიფო ტერორიზმს, ვიეთნამებს ცენტრალურ ამერიკასა და ხმელთაშუა ზღვის რაიონში.

როგორც საბჭოთა მხარემ განაცხადა, სსრ კავშირი მტკიცე წინააღმდეგია იმისა, რომ რომელიმე ქვეყანა თავს აბეზღდეს სხვა სახელმწიფოებს თავის ნორმებსა და წესებს, რომლებიც ხება შინაურ საქმეებს.

ესპანეთის მხარემ აგრეთვე განაცხადა, რომ საჭიროა ცენტრალურ ამერიკაში ვითარების მოწესრიგების პროცესი გადაწყდეს „კონტადორის ჯგუფის“ დახმარებით, მხარი დაუჭირა საბჭოთა წინადადებებს ხმელთაშუა ზღვის შესახებ.

განიხილეს აგრეთვე ევროპის უშიშროების პრობლემა.

ფ. გონსალესმა განაცხადა, რომ ესპანეთი ისწრაფვის მიაღწიოს დადებით გადაწყვეტას ევროპის უშიშროების საკითხებში.

(საკდესი).

მშვიდობა ნდობისა და თანამშრომლობის საფუძველზე

განიარაღება უკონტროლოდ შეუძლებელია, მაგრამ კონტროლსაც განუიარაღებლად აზრი არა აქვს. ამიტომ თბილისში მიმდინარე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების რეგიონალურ კონფერენციაზე დისკუსიების ლოგიკური და მორიგი ეტაპი გახდა სახელმწიფოთა შორის ნდობის ატმოსფეროს შექმნის ღონისძიებათა განხილვა. სწორედ მათ აქვთ დიდი მნიშვნელობა საერთაშორისო უშიშროებისა და თითოეული სახელმწიფოს უშიშროების დამყარებისა და გამტკიცებისათვის. ეს ემსახურება აგრეთვე დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებასა და განიარაღებისათვის უფრო სასიკეთო კლიმატის შექმნას.

ინდოეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაჰარაჯაკრიშნა რასგოტრამ, ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ კლაუს ტორნუდმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. ვ. ჟურკინმა, შეიარაღებისადმი კონტროლისა და განიარაღების სახელმწიფო კომისარმა ფრიდრიხ რუტმა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ილაპარაკეს რა ნდობისა და უშიშროების განმტკიცების ღონისძიებებზე, ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ასპექტს მშვიდობის საკითხლდღეოდ, დაძაბულობის შენელებისა და თანამშრომლობის პროცესისათვის. ორატორებმა აღნიშნეს, რომ კვლავაც უნდა განვითარდეს დადებითი მომენტები ურთიერთნდობის კლიმატის დამყარებაში, კერძოდ, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის საბოლოო აქტით რეგლამენტირებულია სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცების დამატებით ღონისძიებათა განხორციელების პროცედურა. ევროპის ქვეყნების სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკაში დამკვიდრდა წინასწარი შეტყობინება დიდი სამხედრო წვრთნის შესახებ, მეთვალყურეობა გაცვლა, სხვა ღონისძიებანი. ეს გამოცდილება, აღნიშნეს ორატორებმა, უნდა გახდეს მაგალითი სხვა რეგიონებისა და კონტინენტებისათვის.

სერგ ეურგაფტმა (საფრანგეთი), აკე ვიბერგმა (შვეცია), იულია ზახარო

საფეხურები თეატრისაკენ

ხელოვნების ნებისმიერი დარგი ეხმაურება ბავშვის სულს. ნებისმიერი, მაგრამ არის ერთი, რომელიც განსაკუთრებულ სიმღერს აქერებს მის ცნობიერებაში, ეს თეატრია, რომელსაც ყველაზე მეტად შეუძლია გაამდიდროს ბავშვის სულიერი სამყარო, თეატრში წასვლა არ არის ყოველდღიური მოვლენა, როგორც წიგნის კითხვა ან თუნდაც კინოში წასვლაა. ეს დღესასწაულია! და რა არის ბავშვისთვის დღესასწაულზე უფრო ძვირფასი?

დაე ილაპარაკონ, რომ თეატრალური ხელოვნება თავისი ბუნებით ეფემერულია. დიახ! ეშვება ფარდა, მთავრდება სპექტაკლი. მაგრამ განა ამით მთავრდება ყველაფერი? თეატრი არ შეიძლება სულიერი ცხოვრების სხვა დარგებიდან განცალკევებით იდგეს. იგი მის ცენტრშია და თვითონვე ზრდის თავის მაყურებელს.

ბავშვის პირველი ნაცნობობა თეატრთან, უმთავრესად 7-8 წლის ასაკში ხდება, ეს არის მათი ურთიერთობის პირველი და ძალზე მნიშვნელოვანი საფეხური. პერიოდი, როდესაც ნიადაგი ეყრება მომავალი პიროვნების ყველა ცხოვრებისეულ საფუძველს. შემდეგ მიმდინარეობს მისი თანდათანობითი განვითარების პროცესი, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე გრძელდება. ამ ასაკში ბავშვი, სპექტაკლის მსვლელობის დროს, იმყოფება მისთვის ყველაზე უფრო ბუნებრივ სუტიაციაში — თამაშში, ამიტომ იგი არაჩვეულებრივად ითვისებს ყველა გაკვეთილს, რომელსაც სცენაზე ხედავს. თეატრი განაყოფებს მას ხელოვნებისადმი, სამუშაოს აძლევს მის სულს, ანიჭებს არჩევნის უფლებას.

მეორე საფეხური — 11-12 წლის მოზარდს უკვე უჩნდება პირველი ეჭვი და იგი თავის ცხოვრებაში პირველი განაჩენის გამოტანას იწყებს. ამ პერიოდში თეატრი მისი უახლოესი მეგობარია, რომელსაც ძალიან ბევრის გაკეთება შეუძლია. მას აქვს უნარი გამოიწვიოს მოზარდი გულახდილ საუბარში, ასწავლოს ავისა და კარგის გარჩევა, დაამყაროფილოს მისი სულიერი წყურვილი.

მესამე საფეხური 14-17 წლის ასაკია, როცა მთელი კაცობრიობის პრობლემები შოზარდს თავისად, ხოლო საკუთარი — საკაცობრიოდ ეჩვენება. ამ დროს თეატრი იქცევა მის გონიერ თანამოსაუბრად — როგორც თანატოლს, ისე ესაუბრება და ამიტომაც იზრდება ნდობა ამ ხელოვნებისადმი.

თანამედროვე ცხოვრების სწრაფი ტემპი ბავშვს ბევრ სიამოვნებასთან ერთად საკმაო საფიქრალსაც უჩენს. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან დრო დაძაბულია, იგი ბევრს იძლევა. მაგრამ ბევრსაც ითხოვს. მსჯელობა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი, მოზარდისთვის აუცილებელია. სერიოზული საუბრის მოთხოვნილება ბავშვს ყოველდღე უჩნდება. იგი ელის პასუხს უამრავ კითხვაზე — რა არის ადამიანი? არსებობს თუ არა ნამდვილი სიყვარული? რას ნიშნავს სიკვდილი და რატომ ეშინიათ მისი ადამიანებს? და, ბოლოს და ბოლოს, რას ნიშნავს ეს გაუთავებელი „კეთილ“ და „ბოროტი“. ბავშვისთვის არ კმარა მხოლოდ პასუხი, თუნდაც ძალიან ჭკვიანური და მართალი. იგი ცდილობს თვითონ მიაგნოს მას. ბავშვი, შეიძლება ინტუიციურად, მაგრამ მაინც გრძნობს, რომ პრობლემები, რომლებსაც დღეს მას თეატრი უყენებს და რომელთა გადაწყვეტაც დარბაზის სიხუმეში უხდება, ხვალ შეიძლება მთელი სიცხადით ცხოვრების მკაცრ რეალობად იქცეს.

თბილისელმა ბავშვებმა შესანიშნავი სიჩუქარი მიიღეს. ახალი, 1986 წლის დამდეგს კომკავშირის კალინინის რაიკომისა და ეერის უბნის მიკროსაბჭოს თაოსნობით, ჯავახიშვილის ქუჩაზე დიდი რუხი სახლის ქვედა სართულზე გაიხსნა ბავშვთა თეატრი სიმბოლური სახელწოდებით „საფეხურები“.

ეს არის დამოუკიდებელი ბავშვთა თეატრი, სადაც ბავშვები ითამაშებენ ბავშვებისათვის. აქ ისინი არიან ყველაფრის ბატონ-პატრონი, გამსთებლით დაწყებული და ლიტერატურული ნაწილის გამგით დამთავრებული, შემოქმედებითი პერსონალი მთლიანად პატარა დასის წევრებისგან შედგება.

თეატრის ხელმძღვანელობა მიანდეს მოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს, მიხეილ თუმანიშვილის მოწაფეებს ირინე ეღენტსა და ალექსანდრე თეთრაძეს. არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა, რადგან მათ ჯერ კიდევ სტუდენტობისას გამოიჩინეს უნარი ბავშვებთან მუშაობისა.

თეატრი რამდენიმე თვეა არსებობს და პატარა მაყურებელს უკვე უჩენს საინტერესო ექსპოზიცია — „ჩვენი თეატრის სამი დღე“ — ბავშვების მიერ მოშზადებული კარნავალი, რომელიც სავარჯიშო იტიუდებზეა აგებული.

დღეადღეობით თეატრში მზადდება ახალი სპექტაკლი, რომლის პირობითი სახელწოდებაა „ლუდვიგ XIV, ანუ არავინ დაიჯერებს“. იგი შეიქმნა დანიელი მწერლის იან ეკპოლმის ზღაპრის მიხედვით (ინსცენირება გ. პოლონსკისა). ერთ-ერთ რეპეტიციაზე ვესაუბრეთ რეჟისორ ა. თეთრაძეს.

—ბავშვებთან მუშაობა უაღრესად საინტერესოა, — თქვა მან, — ჩვენ გვინდა შეექმნათ განსაკუთრებული თეატრი, რომელიც პატარების ფსიქიკის გათვალისწინებით აგებული იქნება თამაშის სიყვარულზე. მალე შეეფეგებით ლ. კეროლის პიესის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ რეპეტიციებს.

ბავშვებთან მუშაობა მართლაც ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს, მაგრამ იგი ამაკე დროს უაღრესად რთულია და განსაკუთრებულ პედაგოგიურ ნიჭს — დიდი ტაქტისა და ზომიერების გრძნობას მოითხოვს. რეპეტიციების დროს პატარები ხანდახან ხმაურობენ, ერთობიან, ცელქობენ კიდეც, მაგრამ მათ ამისთვის არავინ უჯავრდება, კუთხეში არ აყენებს. გოეთე წერდა, რომ ამქვეყნად ყველაზე დიდი ბედნიერებაა — იყო პიროვნებად! ბავშვში კი პიროვნული საწყისების გამოვლენის სურვილი საკმაოდ ძლიერია; კარგად ესმით ირინე ეღენტსა და ალექსანდრე თეთრაძეს. ბავშვის პატივისცემა და სრული ნდობა უდევს საფუძვლად მათს ურთიერთობას აღსაზრდელებთან. ისინი ცდილობენ, რომ ყმაწვილებს თავისთავად, სავსებით ბუნებრივად, ყოველგვარი მითითების გარეშე გაუჩნდეთ თეატრისადმი სერიოზული დამოკიდებულების და სიყვარულის გრძნობა, ურომლისოდაც არავითარი ფასი არ ექნება თუნდაც ბრწყინვალედ დადგმულ სპექტაკლებს და შესანიშნავად შესრულებულ როლებს.

„საფეხურების“ ხელმძღვანელობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა თეატრში გატარებული ყოველი საღამო ბავშვებისათვის რაც შეიძლება საინტერესო და მიმზიდველი იყოს. მოიწვიეს მუსიკათმცოდნე ლეონიდე გრიგოლია, რომელიც პატარა მსახიობებს მუსიკისა და ფერწერის ისტორიის კურსს წაუკითხავს. თეატრში მუშაობს ახალგაზრდა მხატვარი ნინო ჩიტაიშვილი, მომავალი სპექტაკლისათვის მუსიკას ქმნის კომპოზიტორი სანერო თომაძე.

ახალშექმნილი თეატრის ამოცანა არ არის მისი ყველა აღსაზრდელი მსახიობი გამოვიდეს, თეატრის მიზანია მისცეს ბავშვებს რაც შეიძლება მეტი სულიერი საზრდო. გავა წლები, და თითოეული მათგანი თავისი გზით წავა, თავის საყვარელ პროფესიას აირჩევს, მაგრამ მათ მთელი ცხოვრება გაჰყვებათ ის დარდი, სიხარული, ოცნება, მონატრება და ბედნიერება, რასაც თეატრი ჰქვია.

ჯ. აბაზიძე,
თბილისის თეატრალური ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტის V კურსის სტუდენტი.

ფოტოინფორმაცია

სცენაზეა ქოშელია

თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა აღდგენილი სპექტაკლი — დრამატურგ მიხეილ თარხნიშვილისა და კომპოზიტორის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის გ. ცაბაძის კომედია „ყურკას ქორწილი“ მიხეილ ჯავახიშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მოტივებზე.

მხიარულ სპექტაკლში მაყურებლები შეხვდნენ პოპულარულ მსახიობებს — საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტებს ბ. ბეგალიშვილს, ჭ. კობახიძეს, თ. მერკვილაძეს, ნ. პეტრიაშვილს, მსახიობებს ჯ. ჯანჯღავაშვილს, ი. აფხაზავას, ნ. მეძმარიაშვილსა და სხვებს.

სურათზე: კომედიის სცენა.

ვ. პეტროსიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

უჩვეულო გამოფენა

იგი გაიხსნა თბილისის ახალგაზრდულ კლუბ „ამირანში“. გამოფენაზე წარმოდგენილია მოყვარული მხატვრის, „ორგწყალმშენის“ ტრესტის შრომის მეცნიერული ორგანიზაციის განყოფილების ჯგუფის ხელმძღვანელის ნუკრი ლეკვეიშვილის ორიგინალური ნამუშევრები. ნამუშევრები იმით არის ორიგინალური, რომ ისინი შესრულებულია უჩვეულო მეთოდით — გამხმარი ფოთლების, ფრინველის ბუმბულისა და ღინღლის აპლიკაციით, ფერადი ბავრდოთ.

სურათზე: ეს უნარული სცენა „ნადირობა“ შესრულებულია ფრინველის ბუმბულისა და ღინღლის აპლიკაციის მეთოდით.

ვ. ვალიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ქმა ძმისთვისაო

კოლონა დაიძრა გოგდანოვკიმაკენ

ბაქო, „კომუნისტის“ (საკ. კორ.). 21 მაისს დილით ახმეტიდან საშენი მასალებით დატვირთული ავტომანქანების დიდი კოლონა დაიძრა. 32 სატვირთო ავტომანქანამ რაიონიდან გაიტანა 50 კუბური მეტრი დახერხილი ხეტყე და 4.000 ცალი სამშენებლო ბლოკი. ახმეტის რაიონის მშრომელებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ეს გააკეთეს უსასყიდლოდ, შაბათობის წესით. კოლონამ ბოგდანოვკის რაიონისკენ აიღო გზა. ახმეტის რაიონის მშრომელებმა როგორც კი შეიტყვეს მიწისძვრის ამბავი, გადაწყვიტეს განსაკუთრებით დაზარალებული რაიონებისათვის გაეწიათ ქმედითი დახმარება, კერძოდ, ისინი ბოგდანოვკის რაიონის მშრომელებს ამოუდგნენ მხარში გაჭირვების ჟამს. ნათქვამია, ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო, და ეს საქმითაც დაამტკიცეს.

ყაბალი

მერვე ტრადიციული...

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე თბილისში დაწყებული ტრადიციული მერვე საერთაშორისო ტურნირის პირველ დღეს გამართული მატჩები მართლაც რომ მოულოდნელი შედეგებით დამთავრდა: უნგრეთის ეროვნული გუნდი, რომელსაც სხვადასხვა მაღალი რანგის შეჯიბრებაში არაერთი შთამბეჭდავი გამარჯვება აქვს მოპოვებული, სსრ კავშირის მეორე ნაკრებთან ფრეს დასჯერდა — 10:10. ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ უნგრელები დამარცხებას გადაურჩნენ მაშინ, როცა შეხვედრის დამთავრებას 9 წამი აკლდა.

საქართველოს ნაკრების პირველი მატჩის — იუგოსლავიის ეროვნული გუნდის შემადგენლობა 7 ოლიმპიური ჩემპიონისგან იყო წარმოდგენილი. მიუხედავად ამისა, ქართველი წყალბურთელები ორი პერიოდის შემდეგ დაწინაურებული იყვნენ. იუგოსლავებმა მესამე პერიოდში შეძლეს ანგარიშის გათანაბრება, შეორეში კი დაწინაურება. მატჩის დამთავრებამდე მასპინძლებმა შეძლეს წონასწორობის აღდგენა და საბოლოოდ შეხვედრა ფრედ დასრულდა — 6:6.

გუშინ გაიმართა მეორე ტურის შეხვედრები, რომელთა შედეგები ასეთია: უნგრეთი-იუგოსლავია — 10:7, სსრ კავშირი I-სსრ კავშირი II — 13:5.

დღეს იასპარეზებენ იუგოსლავია — სსრ კავშირი II და საქართველო — სსრ კავშირი I. მატჩების დასაწყისი 18 და 19 საათზე.

სატურნირო ორგიტა

მუშვიდობის ველორგოლა. შეჯიბრების ბოლოსწინა, მეთოთხმეტე ეტაპზე (პლეზენი — მლადა-ბოლესლავი: 181 კმ) გამარჯვება მოიპოვა ი. რომანოვმა (სსრ კავშირი). შესაბამისად მეორე-მესამე ადგილებზე გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენები რ. კროიცგერი და ა. ნოვოსადი. ამ ეტაპის შემდეგაც საერთო-გუნდურ ჩათვლაში ლიდერობას ინარჩუნებენ საბჭოთა ველოსიპედისტები, პირადში კვლავ ულიერესია ო. ლუდვიგი (გდრ).

ბადრაკი. ვილნიუსში მიმდინარე 20 წლამდე ასაკის გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატზე გათამაშდა მეექვსე და მეშვიდე ტურის პარტიები. თბილისელი ქეთევან არანაშია ჯერ მაღლთან (უნგრეთი) დამარცხდა, შემდეგ კი ბაგინსკაიტესთან (სსრ კავშირი). ახლა მაღლს 6 ქულა აქვს და ერთპიროვნულად ლიდერობს. 5-5 ქულა აქვთ სოფიევას (სსრ კავშირი) და ბაგინსკაიტეს, 4,5 — მატვეევას (სსრ კავშირი), 4 ქულა და 1 გადადებული პარტია — პრუდნიკოვას (სსრ კავშირი). არანაშიამ შვიდი ჰარტიიდან მხოლოდ 3,5 ქულა დააგროვა.

შვეიცარიის ქალაქ ბაზელში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონის გ. კასპაროვისა და ინგლისელი დიდოსტატის ე. მაილსის საწვრთნელი მატჩი. ბოლო, მეექვსე პარტია კასპაროვმა მოიგო და მატჩის საბოლოო ანგარიშია 5,5:0,5 ჩემპიონის სასარგებლოდ. კასპაროვისათვის ეს იყო ბოლო ეტაპი მსოფლიოს ექსჩემპიონ ა. კარპოვთან მატჩ-რევანშის წინ.

კალათბურთი. თბილისის სპორტის სასახლეში დაწყებული ვაჟთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრების პირველ დღეს ასეთი შედეგები აღინიშნა: „ვისლა“ (პოლონეთი)-„დინამო“ (ფრუნზე) — 86:85, „დინამო“ (მოსკოვი)-„რუდა ჰეზზლა“ (ჩეხოსლოვაკია) — 98:87, „დინამო“ (თბილისი)-საქართველოს ნაკრები — 93:79.

მძლეოსნობა. ლოს-ანჯელესში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე 400 მეტრზე რბენაში წლევანდელი სეზონის რამდენიმე კარგი შედეგი აღინიშნა: კუტდიუარესელმა (სპილოს ძვლის ნაპირი) გაბრიელ ტიაკომ 44,32 წამი აჩვენა, ამ დისტანციაზე კარგი შედეგები ჰქონდათ ავსტრალიელ დარელ რობინსს (აშშ) — 44,45, ინოსენტ ეგბუნიკეს (ნიგერია) — 44,62, ეხდრიუ ფილიპსს (აშშ) — 44,71 და ანტონი მაკეის (აშშ) — 45,02.

გაზეთ „კომუნისტის“ დღევანდელი ნომერი ეძვსებვერდინენი.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობას — საყოველთაო ზრუნვა

ხელვაჩაურის რაიონის გონიოს საბჭოთა მეურნეობაში დილის თათბირს დავესწარი. მეურნეობის დირექტორმა კ. ბერიძემ საწარმოო უბნის უფროსებს გამოჰკითხა იმ კვირის სამუშაო გეგმა. ჯერი მეურნეობის კულტურის სახლის დირექტორზე მიდგა. ორჯერ კინოსურათს გავუშვებთ, დრამატიული წრე ამზადებს ახალ დადგმას, ველოდებით აჭარის სახელმწიფო ფილარმონიის აგიტმხატვრულ ბრიგადას, მთავრდება შეჯიბრება ქადრაცაში, ყოველ საღამოს ვაწყობთ ცეკვებს... ჩამოთვალა კულტურის სახლის დირექტორმა. პროგრამა შემოქმედებითად იყო დატვირთული. მეურნეობას შესანიშნავი კულტურის სახლი აქვს დიდი საჩქარო დარბაზით, ვესტიბიულში თემატური თვალსაჩინოებაა გამოფენილი. გონიოელთა თვითმოქმედმა ანსამბლმა ისე გაითქვა სახელი, საგასტროლოდ ბალტიისპირეთში იყო მიწვეული. ანსამბლი ხშირად მართავს კონცერტებს, ადიდებს რეპერტუარს, მის მოსასმენად მეზობელი სოფლებიდანაც კი მოდიან.

კლუბს სოფლის ჩირაღდანს უწოდებენ. ეს ნამდვილად ასეა. არა მარტო ახალგაზრდებს, ხანდაზმულებსაც მიუხარიათ იქ, სადაც სულიერ სიამოვნებას მიანიჭებენ, სადაც შრომით დაქანცულნი შეეგებასა და მოსვენებას იგრძნობენ, სადაც სანახაობითი ღონისძიებები ეწყობა. იმას რა სჯობს, ნაცნობსა და უცნობს შეხვდე, ქვეყნის ამბები გაიგო, ახალი კინოსურათი ნახო, შინ კარგი განწყობილებით დაბრუნდე. ეს კი მხნეობასა და ძალას მატებს ადამიანს. ამას დაგიდასტურებენ ქობულეთის რაიონის ციხისძირის კულმეურნეობის მშრომელები. მათთან თითქმის ყოველი საღამო მრავალფეროვანი ღონისძიებებით არის აღსავსე. კულტურის სახლს მდიდარი მატერიალური ბაზა აქვს. თვითმოქმედი ანსამბლი და აგიტმხატვრული ბრიგადა აქტიურად მონაწილეობენ საარაონო და საოლქო დათვალიერებებში. კონცერტებს მართავენ მინდვრად, ფერმაში და მეზობელ სოფლებშიც.

მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთი კულტურის სახლები და კლუბები, რომელთა შემოქმედებით ღონისძიებებს მოუთმენლად ელოდებიან, აჭარის რაიონებში არცთუ ისე ბევრია. ზოგიერთი მხატვრული კოლექტივი პროგრამას უგემოვნოდ, ზერელედ ამზადებს. ასეთი კოლექტივები მსმენელს კარგ განწყობილებას კი არ უქნიან, პირიქით, ცუდ გუნებაზე აყენებენ...

ზოგიერთ სოფელში უარეს მდგომარეობასაც წააწყდებით. კლუბი კლუბს არა ჰგავს, ზამთარში არ ათბობენ, ინვენტარი არ ჰყოფნით... კაცმა რომ თქვას, ასეთ დროს ყველაფერი სოფლის ხელმძღვანელებზე, მათს გერგილიანობაზე, მათს ცოდნასა და შეხედულებებზეა დამოკიდებული. არიან სასოფლო საბჭოებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, რომელთაც კლუბი მხოლოდ მაშინ გაახსენდებათ, როცა საერთო კრება აქვთ გასამართავი. ბუნებრივია, ასეთ „მიყრუებულ“ და „უპატრონო“ სოფლებში ახალგაზრდობას გული არ უდგება.

აჭარის სასოფლო რაიონების 400 კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან 75 ავარიულ მდგომარეობაშია ან საეჭსპლოატაციოდ უვარგისია, 90 არ თბება. დიდ ნაწილს ცუდი მატერიალური ბაზა აქვს. ასე რომ, ბევრგან კულტურული ცხოვრება ცარიელ ან სანახევროდ შევსებულ დარბაზებში მიედინება. მოვიყვანთო რამდენიმე მაგალითი: ქობულეთის რაიონის ჩაისუბნის სასოფლო კლუბის გამგის რ. ფუტკარაძის საქმიანობაზე აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრომ ახლახან საგანგებოდ იმსჯელა. კოლმეურნეობა ეკონომიკურად შეძლებულია, მატერიალურად ეხმარება კლუბს, მაგრამ რად გინდა ისეთი მუსიკალური ინსტრუმენტები, რომლებიც უქმად დგვს. კლუბის გამგე თავს არ იწუხებდა მხატვრული ღონისძიებების მოწყობისათვის, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლისა და ახალი საბჭოური დღესასწაულების დანერგვაზე. იგი საერთოდ ვერ ერკვეოდა საკლუბო მუშაობაში, პროპაგანდას არ უწევდა პარტიის დადგენილებებს. ცხადია, კლუბის გამგედ ასეთი მუშაკის დატოვება არ შეიძლებოდა.

დაახლოებით ანალოგიური მდგომარეობაა ხელვაჩაურის რაიონის მეჯინისწყლის სასოფლო კლუბში, თუ შეიძლება მას კლუბი ეწოდოს. დარბაზი ორაპარის მთის რაიონებში მრავალი კლუბ-კანტორა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება აშენდა, მაგრამ გასაკვირველი ჯერ კიდევ ბევრია. შუახევის რაიონის დღვანის სასოფლო კლუბი და ბიბლიოთეკა ერთ ოთახშია მოთავსებული. აქაოდა, ჩემი სოფელი ცენტრიდან შორს არის, შესამწყმენელად ვინ მომწვდებაო, კლუბის გამგე შ. ფუტკარაძე მუშაობით თავს არ იტვირთავს, არა აქვს სამუშაო გეგმა, აღრიცხვის ჟურნალი, არ ეწყობა მასობრივი ღონისძიებები. მოკლედ, კლუბი ოდნავადაც ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას.

„სოფლის კლუბი“ — ასეთი წარწერა აქვს ხაბელაშვილებში ერთი პატარა შენობის კარს. შეაღებთ იმ კარს და დაინახავთ, რომ აშკარად მოგატყუეს. პატარა დარბაზს არც სცენა აქვს, არც დამხმარე ოთახები და სათავსები. იატაკი ჩამტვრეულია, ფანჯრები შეუმინავი, შემოგარენი დანგვიანებულია. ავარიულია ჯაბნიძეების, ვანის, ჩანჩხალოს, ზემოხევის, კვიახიძეებისა და სხვა სოფლების კლუბები. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ამ სოფლების მესვეურებს, შუახევის რაიონის კულტურის განყოფილებას ნაკლებად ადარდებთ შექმნილი მდგომარეობა. ასეთი „კლუბების“ ამარად რაიმე კულტსაგანმანათლებლო და მასობრივ ღონისძიებებზე ლაპარაკი ზედმეტია.

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ყველა სოფელში ანალოგიური მდგომარეობა იყოს. ხიხადირის, ღორჯობის, შუახევის, სახალვაშოს, ჭერიის, ახალშენისა და სხვა სოფლებში მრავალფეროვანი ღონისძიებანი ეწყობა, მაგრამ იქ, სადაც განუკითხობაა, სავალალო მდგომარეობა შეიქმნა.

სოფლის ხელმძღვანელი, რომელიც ფიქრობს, რომ კინო, კონცერტი ან სხვა სახის მხატვრული ღონისძიება მხოლოდ გასართობია და სხვა არაფერი, ძალიანაც ცდება. ახლა, როცა მთელ ქვეყანაში XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა აქტიური პროპაგანდაა გაჩაღებული, ამ საქმეში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა. მათი მუშობა პარტიული ორგანოების კონტროლისა და ზრუნვის საგანი უნდა გახდეს.

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ოსახლეობა წყალს მიიღებს

ბათუმი. (საკ. კორ.). ქალაქის მოსახლეობა ოცი-ოდე წლის წინათ სასმელად მდინარე ყოროლისწყალს იყენებდა. იმის ამარა იყო. ზაფხულობით ყოროლისწყალი ისე გაიღლოდა, რომ ალაპოტში ქვები მთლიანად შიშველდებოდა. მოის მდინარე ღელეს ემსგავსებოდა, რაც უფრო იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა, მით უფრო მწვავდებოდა სასმელი წყლის პრობლემა.

ყოველივე ეს გაითვალისწინა იტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ. გადაწყდა მდინარე ჩაქვისწყალზე აშენებულიყო ახალი წყალსადენი. განვლილ სამ წელიწადში ბევრი რამ გაკეთდა. წყალსადენის სათავე ქალაქის დონეზე ბევრად მაღლაა. უკვე დაიწყო მილების დამონტაჟება. წყალი მილებში დაქანებით დაეშვება, მას აღარ დასჭირდება გადასატუმბავი საშუალებები. ბოლოვი სახლებიც კი შეუფერხებლად მიიღებენ წყალს. ქალაქის ყველა უბანი წყლით ითმარალურად რომ იქნას უზრუნველყოფილი, აშენდება 25 ათასი კუბური მეტრი ტევადობის ავზები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება წყლის რეგულირება.

სახელმწიფოფარეული ნიშვნელობის ამ საშვილიშვილო საქმის განხორციელება დავალებული აქვს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სპეციშენის ტრესტის № 28-ე მოძრავ-მექანიზებულ კოლონას.

ვერნისაჟი ლია ცის ქვეშ

სოხუმში რუსთაველის სახელობის სანაპირო აფხაზი მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა-გაყიდვის ადგილად იქცა.

ღია ცის ქვეშა ვერნისაჟზე წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრის დაახლოებით ასი ნამუშევარი, რომლებშიც ასახულია მშობლიური კუთხის თვალწარმტაცი პეიზაჟები, საბჭოთა აფხაზეთის დღევანდელი დღე.

გამოფენა-გაყიდვაზე, რომელიც უკვე ტრადიციად იქცა, სოხუმელებმა და ქალაქ-კურორტის სტუმრებმა ათობით ორიგინალური ფერწერული თუ გრაფიკული ტილო, კერამიკის ნაკეთობანი შეიძინეს.

ფიგნის თარო

ვინც ნიადაგ უნდა მოაგონოს ჩვენს თანამედროვეს, თუ რა უბედურების მოტანა, რა ცოდვის დატრიალება შეუძლია ომს, უპირველესი ადგილი ეკუთვნით მწერალს, ჟურნალისტებს. სწორედ მათი ნაამბობი, მათი მოთხრობები და რომანები, მათი წიგნები შთაგონებენ ქალაშვილებსა და ჰაბეკებს ჩაუფიქრდნენ წარსულს, მოავლონ მას გონების თვალი, რათა ღირსეულად შეაფასონ აწმყო და იმედიანად გახედონ მყობადს.

კითხულობ **ზურაბ ლომიძის** წიგნს **„ჯერ თოთხმეტისანიც არ იყვნენ მაშინ...“** და რწმუნდები, რომ ავტორს სწორედ ეს ჰქონია მარტივება ამოძრავებს, რომ იგი ისწრაფვის დაუნატოს ახლანდელ ახალგაზრდობას, მეტადრე პიონერებსა და მოსწავლეებს, ალალმართალი სურათი იმისა, თუ რაოდენ მძიმე ტვირთის ზიდვა მოუხდათ ბავშვების სუსტ მხრებს დიდი სამამულო ომის წლებში.

როგორც ცნობილია, დიდ სამამულო ომს უშუალოდ არ გადაუვლია საქართველოს მიწა-წყალზე. და, რა თქმა უნდა, საქართველოს პატარა შვილებიც არ მოხვედრილან ომში. ყოველ შემთხვევაში, არ უნდა მოხვედრილიყვნენ. მაგრამ ასე როდია. ზურაბ ლომიძე წერების მანძილზე აგროვებდა დოკუმენტებს ომში ქართველი პიონერების, მოწაფეების მონაწილეობის შესახებ — ხდებოდა ეს წინა ხაზზე, თუ მტრის ზურგში — პარტიზანულ რაზმებში. შეაგროვა კიდეც უხვი მასალა. დიდი რუდუნებით დამუშავა და წრფელი მხატვრული მოთხრობების სახით გამოიტანა მკითხველის სამსჯავროზე: გიორგი, იგივე „გრშა ქართველი“, მისი მეუღლე ნინო, მათი თორმეტი წლის გოგონა ელიკო ანანიაშვილი, ბრესტის გმირული დაცვის მონაწილენი, 3500 ქართველთან ერთად. ხოლო გმირი ციხესიმაგრის დაცვის შემდეგ — პარტიზანები მოთხრობიდან „პარტიზანი — პარტიზანთა ქალაშვილი“, ათი წლის ეკატერინა ტობრაკაშვილი, ოდესელი კაპიტნის ივანე ტობრაკაშვილის შვილი მოთხრობიდან „იუნგა გარპუნიდან“, ცხრა წლის სოსო ცხოვრებაშვილი, მამასთან — ერთერთი სატანკო დივიზიის პოლკის მეთაურთან ერთად ომის ბოლო ოთხი წლის გზა რომ გამოიარა ალმასავლეთ ბელორუსიის დაბა ძერჟინსკიდან დამხობილ ბერლინამდე — მოთხრობიდან „ჟანგიანი ბზრიალას საიდუმლო“, ცამეტი წლის ნოდარ ჩხარტიშვილი, მტკიცედ რომ გადაწყვეტა მამასთან ერთად მიეღო მონაწილეობა მტერთან ბრძოლაში, მერე რომ დაიჭრა და ჰოსპიტალში მოხვდა, დღესაც საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც დაუკავშირა მთელი თავისი სიცოცხლე — მოთხრობიდან „ფიცი მამის საფლავზე“, გმირულად დაღუპული სონია, ფაცია გოგრონიძე, ავთანდილ მახარაძე მოთხრობიდან „ფაცია გოგრონიძის ფურისძიება“, სხვა ნორჩი გმირები ახლოელი არიან ჩვენთვის არა მარტო სისხლით და ხორცით, არამედ სულისკვეთებითაც.

კითხულობ ამ მოთხრობებს და უნებლიეთ გამოგაქვს დასკვნა: სასტიკი განსაცდელის ჟამს ბავშვები არ კარგავენ არც სისპეტაკეს, არც სიფაქიზეს და არც ადამიანის ყველაზე ძვირფასს — ადამიანურ ფასეულობებს — იდგნენ წვრილმან ყოფითს ინტერესებზე უფრო მაღლა.

გაოცებს უჩვეულო სიწრფელე და სინამდვილე ამისა, რასაც ავტორი წერს: დასახელებულია საქართველოს ქალაქები და სოფლები, სადაც დაიბადნენ და იზრდებოდნენ წიგნის გმირები. რაიონები, სადაც მიიღეს საბრძოლო ნათლობა, იმ პოლკებისა და დივიზიების ნომრები, სადაც მათი მშობლები მსახურობდნენ. ამ უტყუარობამ მხოლოდ არგო წიგნს.

ამ პატარა წიგნში სულ ხუთი მოთხრობაა, მაგრამ მათგან თითოეული ერთ დასრულებულ წიგნად იკითხება, იკითხება სულმოუთქმელად, რადგან ძალიან, ცოცხალი ენით არის დაწერილი. და ეს იმიტომ, რომ ზურაბ ლომიძე ცდილობს უკუაგდოს ყოველგვარი გარეგნული ეფექტურობა, ხელოვნური აღტერლობა. ოღონდ ვარ დარწმუნებული, წიგნი „ჯერ თოთხმეტისანიც არ იყვნენ მაშინ...“ აუჩქარებს გულს ყმაწვილ მკითხველს, აფიფორიაქებს სულს ვეტერანებს, თვალწინ გაუცოცხლებს მებრძოლებს, ომიანობის წლებს. წიგნის ყოველი ფურცელი ახალგაზრდობას მოუწოდებს: უერთგულეთ და თვალსაჩინოვით გაუფრთხილეთ მამა-პაპათა იდეალებსა და საბრძოლო ტრადიციებს!

დ. რამიშვილი.

გამოკეტილი კულტურა

კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობას — საყოველთაო ზრუნვა

ხელვაჩაურის რაიონის გონიოს საბჭოთა მეურნეობაში დილის თათბირს დავესწარი. მეურნეობის დირექტორმა კ. ბერიძემ საწარმოო უბნის უფროსებს გამოჰკითხა იმ კვირის სამუშაო გეგმა. ჯერი მეურნეობის კულტურის სახლის დირექტორზე მიდგა. ორჯერ კინოსურათს გავუშვებთ, დრამატიული წრე ამზადებს ახალ დადგმას, ველოდებით აჭარის სახელმწიფო ფილარმონიის აგიტმხატვრულ ბრიგადას, მთავრდება შეჯიბრება ქადრაცაში, ყოველ საღამოს ვაწყობთ ცეკვებს... ჩამოთვალა კულტურის სახლის დირექტორმა. პროგრამა შემოქმედებითად იყო დატვირთული. მეურნეობას შესანიშნავი კულტურის სახლი აქვს

დიდი საჩქარო დარბაზით, ვესტიბიულში თემატური თვალსაჩინოებაა გამოფენილი. გონიოელთა თვითმოქმედმა ანსამბლმა ისე გაითქვა სახელი, საგასტროლოდ ბალტიისპირეთში იყო მიწვეული. ანსამბლი ხშირად მართავს კონცერტებს, ადიდებს რეპერტუარს, მის მოსასმენად მეზობელი სოფლებიდანაც კი მოდიან.

კლუბს სოფლის ჩირაღდანს უწოდებენ. ეს ნამდვილად ასეა. არა მარტო ახალგაზრდებს, ხანდაზმულებსაც მიუხარიათ იქ, სადაც სულიერ სიამოვნებას მიანიჭებენ, სადაც შრომით დაქანცულნი შეეგებასა და მოსვენებას იგრძნობენ, სადაც სანახაობითი ღონისძიებები ეწყობა. იმას რა სჯობს, ნაცნობსა და უცნობს შეხვდე, ქვეყ